# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 9 აპრილი 2003 №62 (1833) | ფასი 50 თეთრი




ივო შუშაკმა რუსეთი და ირლანდია აიკიდა



# ნახევარქვეყანა ყველაფერში განახევრებულ საქართველოში მწვრთნელსაც ნახევრად ნიშნავენ

ეროვნული გუნდის ცხოვრებაში თითქოს ახალი ეტაპი დაიწყო: ივო შუშაკი გუშინ ნაკრების დროებით მწვრთნელად, რუსეთთან და ირლანდიასთან მატჩებისთვის დაინიშნა. ერთი მხრივ, შუშაკი უკეთესი მწვრთნელია, ვიდრე ეროვნულ გუნდს აქამდე ჰყავდა, მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც რჩება. ვერ ვამბობთ, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი, ახლა კი გაიხარებს ქართული ფეხბურთიო. ვერ ვამბობთ, რადგან ამ ახალი ეტაპის დაწყება ძალიან ჰგავს იმ ეტაპებს, აქამდე რომ იწყებოდა და როგორც მთავრდებოდა, გახსენებაც კი არ გვინდა.

ივო შუშაკი უკეთესი მწვრთნელია და მის ხელში ნაკრებმა ეგებ უკეთესადაც ითამაშოს, მაგრამ მართლაც კარგი თამაშისთვის ეს საკმარისი არ არის. ამისთვის ფედერაციასაც უნდა ჰქონდეს მკაფიოდ და გონივრულად ჩამოყალიბებული პოლიტიკა და ფეხბურთის განვითარების კონცეფცია. არადა, არ აქვს. ფედერაცია ფიქრის და ვარიანტების გათვლის შედეგად არ მისულა შუშაკამდე, უბრალოდ, ნაკრები ჩააბარა კაცს, რომელიც აქვე იყო, ძებნა არ უნდოდა, რომლის დანახვასაც შორს გახედვა არ სჭირდებოდა. და ასე არ იყო მუდამ? რამდენი მწვრთნელი მოიყვანეს თავის დროზე ასე, უძებნელად.

ისე, საინტერესოა, „დინამოს“ რომ შუშაკი არ ჩამოეყვანა, ვინ იქნებოდა დღეს ნაკრების მწვრთნელი?

ივო შუშაკის კონტრაქტი ორმატჩიანია. მერე? მერე კი ვნახოთ — ბრძანა გუშინ ფედერაციის პრეზიდენტმა. ეს იმ კაცის ნათქვამს არ ჰგავს, ქართული ფეხბურთის ლაფიდან ამოთრევის გზები მისხალ-მისხალ რომ დაუგეგმავს.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# თქვენ გინდათ თქვათ, როგორ თამაშობს რეალი?



REUTERS



რეალი — მანჩესტერი 3:1. ჯადო-გუნდის ორი შამანი: ლუიშ ფიგუ და რაული

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

**აიაქსი 0:0 მილანი**

აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი (დე იონგი 74), კიუ, ობრაიენი, პიენაარი, გალაშეკი (სნეიდერი 67), იაკუბუ, მაქსველი, იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 73), ვან დერ ვაარტი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, რუი კოშტა, გატუზო, ამბროზინი, ზეედორფი (სერჟინიო 26), შევჩენკო (რივალდო 79), ინძაგი (ტომასონი 73)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, ამბროზინი
მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
52 000 მაყურებელი
*საპასუხო მატჩი გაიმართება 23 აპრილს*

**რეალი 3:1 მანჩესტერი**

1:0 ფიგუ (12), 2:0, 3:0 რაული (28, 49), 3:1 ვან ნისტელროი (52)
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, კონსეისაო, ზიდანი, რაული, რონალდო (გუტი 84)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი (სოლსკიაერი 86), ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი (ოში 58), ბექემი, ბატი, კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ნევილი, ვან ნისტელროი, სქოულზი, კინი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
80 000 მაყურებელი
*საპასუხო მატჩი გაიმართება 23 აპრილს*

უკალაძეო „მილანმა" „ამსტერდამ არენაზე" ვერ მოიგო, მაგრამ რაკი არც წააგო, ნახევარფინალში გასვლის მეტი შანსიც აქვს და ვინძლო ასეც მოხდეს. მაშინ ვიტყვით, რომ ერთადერთ ქართველს, რომელსაც ჩემპიონთა თასის თუ ლიგის ნახევარფინალამდე გაუღწევია, ეს მეორედ მოახერხა. მოგეხსენებათ, კახა კალაძემ ლიგის ნახევარფინალში ოთხი წლის წინ, კიევის დინამოელობისას ითამაშა.

მაგრამ ძალიანაც ნუ ავჩქარდებით და „მილანს" ნახევარფინალში წინასწარვე ნუ დავიგულებთ, მით უფრო, რომ გუშინდელმა თამაშმა აჩვენა: „აიაქსი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის და ორი ჯგუფური ეტაპი შემთხვევით არ გადალაუხავს.

გადასარევი თამაში იყოო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ცუდიც არ ექმოდა. მასპინძელთაგან ზლატან იბრაჰიმოვიჩს მართებდა გატანა, სტუმართაგან ანდრეი შევჩენკოს, მთლიანობაში კი უპირატესობა „მილანისა" იყო. ოღონდ ეგაა, იმავ შევჩენკოსა და ფილიპო ინძაგის ნახევარმცველები ბევრი და კარგი პასით ვერ ამარაგებდნენ.

ამ მატჩის თაობაზე უფრო დაწვრილებით ხვალ მოგითხრობთ, აქ კი დავძინოთ, რომ ძველი აიაქსელი კლარენს ზეედორფი მალევე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, ხოლო ჯენარო გატუზომ ის გაფრთხილება მიიღო, რომელიც საპასუხო თამაშს გამოატოვებინებს.

„აიაქს" – „მილანს" ცუდი თამაში არ ეთქმოდა, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" დატრიალებულ ამბებს თუ ადევნებდით თვალს და ამსტერდამული თამაშის მიმდინარეობის გასაგებად ხანდახან გადართავდით ტელევიზორს, გეგონებოდათ, „ამსტერდამ არენაზე" ფეხბურთს ჩასძინებიაო. „სანტიაგო ბერნაბეუზე" სულ სხვა თამაში იყო.

რა გინდათ, რომ იქ არ ყოფილიყო. უპირველესად ლუიშ ფიგუს გოლი უნდა ვახსენოთ, მახვილი კუთხიდან რომ დაარტყა და შორეულ ცხრიანში ჩააჭედა. ისეთი გოლი იყო, ძალიან, ძალიან იშვიათად რომ გადის. მაგრამ ფიგუმვე, ხელს რომ არავინ უშლიდა, სხვა ეპიზოდში ბევრად ხელსაყრელი ადგილიდან კარს ააცილა. კარგი სანახავი იყო რაულის გოლებიც და მარად მოუღლელი რობერტო კარლოსის გარჯაც, თავბედი რომ აწყევლინა მანჩესტერელებს. სტუმართაგან კი ძველებურად ათამაშდა ფაბიენ ბარტეზი, ანუ ორჯერ ურთულესი ბურთი მოიგერია, მაგრამ უმტკივნეულო ეპიზოდებში სისულელეებიც ჩაიდინა.

ერთი სიტყვით, „რეალმა" პირწმინდად დაჩაგრა „მანჩესტერი" და რომ არა რუუდ ვან ნისტელროის ერთი გოლი, „ოლდ ტრეფორდზე" საპასუხო მატჩს ევებ საერთოდაც დაჰკარგვოდა აზრი. იმ „ოლდ ტრეფორდზე", რომელიც წლევანდელი ფინალის მასპინძელია და რომელამდე მიღწევაც „მანჩესტერ იუნაიტედს" უსაშველოდ გაუჭირდება.

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ბარნლი 2:0 პრესტონი
გრიმსბი 0:1 ვულვერჰემპტონი
ლესტერი 1:0 ნოტინგემი
კრისტალ პალასი 0:1 უოტფორდი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

ჩელტენემი 2:2 ლუტონი
უიკომბი 0:4 კარდიფი

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

როჩდეილი 1:1 როვერსი

### პოლონეთი

**XX ტური**

კატოვიცე 1:0 რუხი

### საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ოსერი 3:1 სედანი

### შოტლანდია

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

სტრანრარი 0:1 სტენჰაუზმური

### შვედეთი

**პირველი ტური**

იოსტერი 0:4 იურგორდენი

### ავსტრია

**თასის 1/4 ფინალი**

რიდი 1:3 კერნტენი
ვატენსი 0:2 ზალცბურგი
აუსტრია 1:0 შტურმი

## რეალი — მანჩესტერი



რონალდოს ბევრი არაფერი გამოსვლია, მაგრამ მეტოქეს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა



ფაბიენ ბარტეზმა ერთი-ორჯერ თავი ძველებურად მოისულელა



ალექს ფერგიუსონის ამბავი რომ ვიცით, ფეხბურთელებს გასახდელში შავ დღეს დააყრიდა



ფერნანდო იერომ რუუდ ვან ნისტელროის ლამის მაისურაც გახადა

## აიაქსი — მილანი



ჯონ ობრაიენისგან თავზე ფეხშემოდებული ჯენარო გატუზო საპასუხო მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

## ინტერი — ვალენსია

მილანი. „სან სირო". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

### სავარაუდო შემადგენლობები

ტოლდო, ხ. ძანეტი, კანავარო, მატერაცი, კორდობა, ოკანი (ან ს. კონსეისაუ), კ. ძანეტი, დი ბიაჯო, ემრე, ვიერი, რეკობა

კანისარესი, რეველიერი, აიალა, მარჩენა, კარბონი, რუფეტე, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, აიმარი, კარეუ

დისკვალიფიცირებულნი: *ინტერი:* არავინ; *ვალენსია:* მაურისიო პელეგრინო (1 მატჩი)

# უშესავლოდ

**ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲗ,** „ინტერი" — „ვალენსიას" პირველი მეოთხედფინალური მატჩის ანონსი რამდენიმე აბზაციანი შესავლით უნდა დაგვეწყო, რომელშიც ექტორ რაულ კუპერის „ვალენსიაში" მუშაობის ხანაზე, იქაურითა დიდ სიყვარულზე, გამარჯვებებსა და ფინალების წაგების სიმწარეზე ვიტყოდით. ერთი აბზაცი იმ ამბის გახსენებისთვისაც უნდა მიგვეძღვნა, გადამწყვეტი მატჩების წაგების ჩვევა კუპერს იტალიაშიც რომ გაჰყვა და შარშან სწორედ ბოლო ტურში დათმო სკუდეტო. მაგრამ სჯობს, სიტყვათა რახარუხისგან თავი შევიკავოთ, რაკი ყველაფერი დიდი ხნის წინ გვითქვამს. ქვემოთ დღევანდელი მატჩის გარშემო ვიტრიალოთ.

იტალიურ გაზეთებში, ჯერჯერობით მორიდებულად, მაგრამ მაინც წერენ, „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ცგებ ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყოსო. ეს ამბავი ამ კვირის მატჩების შედეგებზეა დამოკიდებული. ერთი, ცხადია, „ვალენსიასთან" შეხვედრაა, მეორე? კვირას მილანური დერბია და მისი მნიშვნელობისა და პრინციპულობის თაობაზეც აღარ გავაგრძელებთ სიტყვას. ისე კი, იტალიელ მეგაზეთეთა ვარაუდში ლოგიკა შეინიშნება: თუ „ინტერმა" ვერც „ვალენსიას" მოუგო და ვერც „მილანს", ვინძლო ჩემპიონთა თასიც გაუფრინდეს და სკუდეტოც. სადღეისოდ კუპერის გუნდი სერია A-ს ლიდერ „იუვენტუსს" ხუთი ქულით ჩამორჩება. ერთი მხრივ, ხუთი ქულა ბევრი არ არის, როცა გასათამაშებელი კიდევ 21 ქულაა, მაგრამ მეორე მხრივ, არც „იუვენტუსი" გახლავთ ქულების იოლად გამნიავებელი, რაც „ინტერის" ჩემპიონობას საეჭვოდ ხდის.

„სერია A-ს და ჩემპიონთა ლიგას ერთმანეთში ნუ აურევთ — გვეხვეწება კუპერი — ლიგაში, პლეი ოფის ეტაპზე, ხუთქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის საჭიროება არ არსებობს".

მილანელთა ბანაკში, ფეხბურთელთა ჯანმრთელობის თვალსაზრისით, კარგი ამბებიცაა და ცუდიც. ჩვეულებრივ, ცუდით იწყებენ-ხოლმე და ჩვენც ასე მოვიქცეთ: ორშაბათის ვარჯიშზე ალვარო რეკობამ ფეხში მწვავე ტკივილი იგრძნო და ექიმებს ჩაბარდა. ექიმებმა თქვეს, ოთხშაბათამდე ფეხზე დავაყენებთო, მაგრამ თუ ვერ მოახერხეს — და კარგი ამბავიც ეს არის — ურუგვაელს არგენტინელი ერნან კრესპო შეცვლის, რომელმაც ტრავმა ეს-ესაა მოიშუშა, ხოლო სანამ დაიმტვრეოდა, ჩემპიონთა ლიგის რვა შეხვედრაში ცხრა გოლი გაიტანა.

კარგი ამბები ამით არ დამთავრებულა: გუნდს მარკო მატერაციც დაუბრუნდა და დაცვის შუაგულში ფაბიო კანავაროს შეუწყვილდება. ეს, თავის მხრივ, ივან კორდობას მარცხენა ფლანგზე დაბრუნებას გამოიწვევს.

„ვალენსია", მოგეხსენებათ, მეტისმეტად ფრთხილი გუნდია და დაცვას გამორჩეულ ყურადღებას უთმობს, მეტადრე კი საგარეო მატჩებში. ეს ხალხს აფიქრებინებს, რომ ესპანელები „სან სიროზე" ფრის მიღწევას ეცდებიან. ამის საპასუხოდ გარემარბი ვისენტე ამბობს: „მილანში მოსაგებლად ჩამოვედით. ცხადია, ვიცით, რომ ამის მიღწევა ურთულესი საქმეა, თან „ინტერთან", მაგრამ ფრეზე თამაში გამორიცხულია".

მიგელ ანხელ ანგულო კი უფრო შორს წავიდა, წარსული გაიხსენა და ბრძანა: „ნახევარფინალში გასვლა რომ გვსურს, თავისთავად ცხადია, მაგრამ „ინტერთან" ძველი ანგარიშიც გვაქვს, შარშან „მესტალიაზე" რომ დაგვამარცხა, ამისთვის შური უნდა ვიძიოთ და „სან სიროზე" მოვუგოთ".




ალვარო რეკობამ თუ ვერ ითამაშა, ერნან კრესპო აქაა

„ვალენსიას" კურო ტორესი და კილი გონსალესი დამტვრეულები რომ ჰყავს, ძალიან ძველი ამბავია, ამას მაურისიო პელეგრინოს დისკვალიფიკაციაც დაემატა. დაცვის ცენტრში მას სავარაუდოდ კარლოს მარჩენა შეცვლის, მეორე ცენტრალური მცველი კი ცხადია, რობერტო აიალა იქნება.

ნახევარდაცვაში ბრუნდება სასჯელმოხდილი რუბენ ბარახა, ხუთკაციან შეტევას კი წინ ერთადერთი ფორვარდის, ნორვეგიელი იონ კარეუს მომსახურება დაევალებათ.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ**

**ურთიერთშეხვედრები**

**1961-62 ბაზრობათა თასი**
**მეოთხედფინალი**
ვალენსია 2:0 ინტერი
ინტერი 3:3 ვალენსია
**2001-02 უეფას თასი**
**მეოთხედფინალი**
ინტერი 1:1 ვალენსია
ვალენსია 0:1 ინტერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „ინტერი" ესპანურ კლუბებთან | 31 | 10 | 8 | 13 | 36:48 |
| „ინტერი" შინ ესპანურ კლუბებთან | 15 | 6 | 7 | 2 | 23:16 |
| „ვალენსია" იტალიურ კლუბებთან | 16 | 5 | 3 | 8 | 20:22 |
| „ვალენსია" სტუმრად იტალიურ კლუბებთან | 8 | 1 . | 2 | 5 | 6:10 |

## იუვენტუსი — ბარსელონა

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

### სავარაუდო შემადგენლობები

ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი, დავიდსი, ტაკინარდი, ნედვედი, დელ პიერო, ზალაიეტა

ბონანო, გაბრი, პუიოლი, ანდერსონი (ან დე ბური), რაიციგერი, ოვერმარსი, ხავი, მოტა, რიკელმე, კლუივერტი, სავიოლა

დისკვალიფიცირებულნი: *იუვენტუსი:* არავინ; *ბარსელონა:* არავინ

# მხოლოდ ის ვიცით, რომ საინტერესოა

**„ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘᲡᲐ"** და „ბარსელონას" შეხვედრის წინ იმის ანალიზი, თუ რომელი გუნდი როგორ თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში, მაინცდამაინც აზრიანი საქმე არ არის. აი, მაგალითად, „იუვენტუსი", რომელიც იტალიის პირველობაში უკეთეს პოზიციაზეა, ვიდრე „ბარსელონა" ესპანეთისაში: სერია A-ს ცხრილში პირველ ადგილზეა, „ინტერს" ხუთი ქულით უსწრებს და, სავარაუდოდ, მალე 27-ე სკუდეტოსაც გაიფორმებს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ბოლო ორი თამაში წააგო: ჯერ შინ, „მანჩესტერ იუნაიტედთან" და შემდეგ ბაზელში.

„ბარსას" საქმე პირიქითაა, ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ყველაფერი მეტისმეტად შთაბეჭდავად გამოდის — 14 შეხვედრიდან 13 მოიგო, ხოლო ერთი ფრედ დაასრულა — პრიმერადივიზიონში კი სხვა ისტორიას ვხედავთ — ბოლო ტურში „ვილიარეალთან" ნაწვნევმა 0:2-მა ცხრილის შუაში ჩატოვა და ხალხს უბრალოდ უკვირს, როგორ ახერხებს ეს გუნდი ევროპული ვრანდების ერთიმეორეზე მიწყობას.

ერთი სიტყვით, გინდა აქედან მოუარე, გინდა იქიდან, წინასწარ ვერაფერს დაასაბუთებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, „იუვეს" მწვრთნელი მარჩელო ლიპი აცხადებს, რომ კენჭისყრით კმაყოფილია.

„კმაყოფილი პრაქტიკულ მიზეზთა გამო კი არ ვარ, უბრალოდ „ბარსელონასთან" არასდროს მომწევია დაპირისპირება და მაინტერესებს. ვფიქრობ, ამაღელვებელი, ლამაზი თამაშები გაიმართება".

მაგრამ ლიპის კმაყოფილებას ერთგვარად ფრანგი თავდამსხმელის, დავიდ ტრეზეგეს ტრავმა ამუქებს. იგი ბოლო ტურში, ტურინულ დერბიში, „ტორინოს" წინააღმდეგ თამაშის დროს დაშავდა და მწვრთნელს თავსატეხი დაუტოვა: ვინ უნდა ითამაშოს ტრეზეგეს მაგივრად? ჩილელი მარსელო სალასიც მკურნალობს, მარკო დი ვაიოს კი ჯერ 90 წუთი სირბილი არ შეუძლია. მერედა, ტრეზეგეს მეწყვილე, ალესანდრო დელ პიეროც, მოგეხსენებათ, დიდი ხანი არ არის, რაც გამოჯანმრთელდა და ბუნებრივია საუკეთესო ფორმისგან შორს არის.

ასე და ამგვარად, რჩება ურუგვაელი ტლანქი მარსელო ზალაიეტა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დი ვაიო შეცვლის.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „ტორინოსთან" შეხვედრაში დავიდ ტრეზეგეს გარდა დაშავდა გუნდის ამჟამინდელი ბურჯი, ჩეხი პაველ ნედვედიც, თუმცა მასზე ამბობენ, გამოჯანმრთელდებაო.

„ბარსას" მწვრთნელი რადომირ ანტიჩი კი „ვილიარეალთან" კოჭამობრუნებული ჰოლანდიელის, ფრანკ დე ბურის ჯანმრთელობაზე ელის ექიმის ცნობას.

ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ მოედანს მეტნაკლებად უბრუნდება ლუის ენრიკე ანუ იმის თქმა გვინდა, რომ თუ ბარსელონელთა შტაბში საჭიროდ ჩათვლიან, იგი სათადარიგოთა სკამზე დაჯდება, ხოლო ნედვედსაწინააღმდეგო ფარის როლს ტიაგო მოტა შეასრულებს.

„ძნელია, მაგრამ საინტერესო — ამბობს მოტა თავის როლზე — ნედვედი დიდი ფეხბურთელია და ჩემთვის მის გარშემო ტრიალი ძალიან სასარგებლო იქნება. მას ძლიერი დარტყმა აქვს და ორივე ფეხით თანაბრად ბურთაობს. მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ნედვედს თამაში არ აეწყოს".

მოტა, მოგეხსენებათ, ბრაზილიელია და სულ 20 წლის არის.

ისტორია კი ღაღადებს, რომ „იუვე" და „ბარსა" სამჯერ გადაყრიან ერთმანეთს, 1970-71 წლების ბაზრობათა თასის გათამაშებაში, სადაც იტალიელებმა იმძლავრეს, 1986 წლის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში, სადაც კატალონიელებმა იყოჩაღეს და 1991 წლის თასების თასის ნახევარფინალში, რომელიც ისევ „ბარსამ" მოიგო.

**ᲙᲐᲙᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**



ალესანდრო დელ პიერო ახლახან მომჯობინდა,
პაველ ნედვედი აპირებს, მარსელო სალასს კი ჯერ დრო სჭირდება

**ურთიერთშეხვედრები**

**1970-71 ბაზრობათა თასი**
**მეორე ეტაპი**
ბარსელონა 1:2 იუვენტუსი
იუვენტუსი 2:1 ბარსელონა
**1985-86 ჩემპიონთა ლიგა**
**მეოთხედფინალი**
ბარსელონა 1:0 იუვენტუსი
იუვენტუსი 1:1 ბარსელონა
**1990-91**
**თასის მფლობელთა თასი**
**ნახევარფინალი**
ბარსელონა 3:1 იუვენტუსი
იუვენტუსი 1:0 ბარსელონა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" ესპანურ კლუბებთან | 37 | 15 | 8 | 14 | 45:43 |
| „იუვენტუსი" შინ ესპანურ კლუბებთან | 18 | 12 | 5 | 1 | 28:9 |
| „ბარსელონა" იტალიურ კლუბებთან | 29 | 14 | 7 | 8 | 53:33 |
| „ბარსელონა" სტუმრად იტალიურ კლუბებთან | 13 | 5 | 5 | 3 | 22:16 |




ჰაქან შუქური პირველ პრემიერლიგურ გოლს არ დასჯერდა, დუბლი მიითვალა

# შუქურმა გამოანათა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXXII ტური

**ფულემი 0:4 ბლეკბერნი**

0:1 დანი (363), 0:2 შუქური (41), 0:3 დაფი (52), 0:4 შუქური (53)

ფულემი: მაიკ ტეილორი, ფინანი, გომა, ნაითი, პარლი, კლარკი (ლეგვინსკი 61), მალბრანკი, ჯებუ, ბოა მორტე, მარლე (ჰემონდი 61), საჰა

მწვრთნელი: ჟან ტიგანა

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი (მარტინ ტეილორი 55), შორტი, ბერგი, გრეშკო, თუგაი (გილესპი 69, გრაბი 90), ფლიტკროფტი, დ. დანი, დაფი, შუქური, ენდი კოული

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ნაილი, შორტი

მსაჯი: პოლი

14 017 მაყურებელი

„ბლეკბერნმა" 4:0 მოუგო „ფულემს" გასვლით მატჩში და უეფას თასის საგზურისთვის ბრძოლა გააგრძელა. ანგარიში დევიდ დანმა გახსნა 36-ე წუთზე, ამას კი ხუთ წუთში მოჰყვა ჰაქან შუქურის პირველი პრემიერლიგური გოლი. „ბლექბერნში" ახალგადაყვანილი შუქური მენეჯერ გრემ სუნესის ძველი ნაცნობია, მის ხელქვეით უთამაშია „გალათასარაიში".

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა დემიენ დაფმა მესამე შეუგდო მაიკ ტეილორს, წერტილი კი კვლავაც შუქურმა დასვა.

ამ მოგების შემდეგ „ბლექბერნი" სამი ქულითღა ჩამორჩება „ლივერპულს" და ოთხით მეხუთე ადგილზე მდგომ „ევერტონს". „ფულემის" თამაში კი მხოლოდ შეხვედრის პირველ ოც წუთს ვარგოდა. ტრიბუნაზე კი იჯდა ჯანლუკა ვიალი, რომელიც „ფულემის" მენეჯერობიდან მიმავალი ჟან ტიგანას შემცვლელად მიიჩნევა. საერთოდ კი, „ფულემს" უვარგისი სეზონი ჰქონდა და თუმცა გავარდნილი დაცული ჩანს, მხოლოდ შვიდი ქულით უსწრებს ბოლოდან მესამე ადგილზე მყოფ „ვესტ ჰემს".

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 32 | 20 | 7 | 5 | 67:34 | 67 |
| მანჩესტერი | 32 | 20 | 7 | 5 | 55:27 | 67 |
| ნიუკასლი | 32 | 19 | 4 | 9 | 55:37 | 61 |
| ჩელსი | 32 | 16 | 9 | 7 | 59:32 | 57 |
| ევერტონი | 32 | 15 | 8 | 9 | 41:37 | 53 |
| ლივერპული | 32 | 14 | 10 | 8 | 47:35 | 52 |
| ბლექბერნი | 32 | 13 | 10 | 9 | 42:37 | 49 |
| ტოტენჰემი | 32 | 13 | 7 | 12 | 45:45 | 46 |
| ჩარლტონი | 32 | 13 | 7 | 12 | 41:45 | 46 |
| მიდლსბრო | 32 | 12 | 9 | 11 | 42:35 | 45 |
| საუთჰემპტონი | 32 | 11 | 12 | 9 | 35:33 | 45 |
| სიტი | 32 | 12 | 5 | 15 | 40:51 | 41 |
| ფულემი | 32 | 10 | 8 | 14 | 35:44 | 38 |
| ლიდსი | 32 | 11 | 4 | 17 | 44:46 | 37 |
| ასტონ ვილა | 32 | 10 | 7 | 15 | 34:38 | 37 |
| ბოლტონი | 32 | 8 | 11 | 13 | 35:47 | 35 |
| ბირმინგემი | 32 | 9 | 8 | 15 | 29:43 | 35 |
| ვესტ ჰემი | 32 | 7 | 10 | 15 | 35:54 | 31 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 5 | 6 | 21 | 21:50 | 21 |
| სანდერლენდი | 32 | 4 | 7 | 21 | 20:52 | 19 |

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**უიმბლდონი 1:0 შეფილდ იუნ.**

1:0 შიპერლი (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 40 | 25 | 11 | 4 | 84:38 | 86 |
| ლესტერი | 40 | 24 | 11 | 5 | 66:35 | 83 |
| შეფილდი | 40 | 20 | 10 | 10 | 63:44 | 70 |
| ნოტინგემი | 39 | 19 | 11 | 9 | 73:40 | 68 |
| რედინგი | 40 | 21 | 4 | 15 | 50:40 | 67 |
| ვულვზი | 40 | 17 | 13 | 10 | 68:38 | 64 |
| იფსვიჩი | 41 | 16 | 13 | 12 | 67:54 | 61 |
| ნორვიჩი | 41 | 17 | 10 | 14 | 55:45 | 61 |
| უიმბლდონი | 41 | 15 | 11 | 15 | 66:67 | 56 |
| ჯილინგემი | 41 | 14 | 13 | 14 | 53:61 | 55 |
| როტერჰემი | 40 | 14 | 11 | 15 | 55:53 | 53 |
| მილუოლი | 40 | 15 | 8 | 17 | 46:59 | 53 |
| კრ. პალასი | 40 | 12 | 16 | 12 | 51:45 | 52 |
| პრესტონი | 39 | 13 | 13 | 13 | 62:59 | 52 |
| უოტფორდი | 41 | 14 | 9 | 18 | 49:63 | 51 |
| ბრედფორდი | 41 | 13 | 10 | 18 | 49:62 | 49 |
| ბარნლი | 39 | 13 | 10 | 16 | 58:75 | 49 |
| ქოვენთრი | 40 | 12 | 12 | 16 | 44:54 | 48 |
| დერბი | 40 | 13 | 7 | 20 | 48:63 | 46 |
| უოლსოლი | 39 | 12 | 7 | 20 | 50:63 | 43 |
| ბრაიტონი | 41 | 10 | 10 | 21 | 42:60 | 40 |
| სტოკი | 40 | 8 | 14 | 18 | 38:64 | 38 |
| გრიმსბი | 40 | 9 | 10 | 21 | 44:75 | 37 |
| უენსდი | 41 | 7 | 14 | 20 | 44:68 | 35 |




**ინგლისურმა** „ლიდსმა" უარყო ინფორმაცია, თითქოსდა თავის ავსტრალიელი გარემარბ ჰარი კიუელს ზაფხულიდან „მანჩესტერ იუნაიტედში" უშვებდეს. ბრიტანულმა ტაბლოიდებმა დაწერეს, „ლიდსი" მზადაა, კიუელი ალექს ფერგიუსონის გუნდს 9,3 მილიონ დოლარად დაუთმოს და ფეხბურთელიც წინასწარ კონტრაქტს „ალისფერ ეშმაკუნებთან" დღე-დღეზე გააფორმებსო, მაგრამ... „კიუელი გუნდში დარჩება, მას არ გავყიდით, მართალია, კლუბს ვალები დაუგროვდა, მაგრამ მის დაფარვას სხვა გზითაც მოვახერხებთ" — თქვა „ლიდსის" ახალმა პრეზიდენტმა ჯონ მაკკენზიმ.

**იტალიელმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ტურინის „იუვენტუსთან" ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამან საბოლოოდ მოუღო ბოლო მითქმა-მოთქმას, თითქოსდა მარჩელო ლიპის იტალიის ნაკრების მწვრთნელად ნიშნავდნენ ჯოვანი ტრაპატონის ნაცვლად. „იუვენტუსის" გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის თქმით, „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობას ლიპის გუნდიდან გათავისუფლება გულშიც არ გაუვლია და მწვრთნელს ახალი ხელშეკრულება თავად შესთავაზა.**

**გერმანიის** ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად ული შტილიკე დაინიშნა. მან პოსტზე ლევერკუზენის „ბაიერში" სპორტულ დირექტორად გადაბარგებული იურგენ კოლერი შეცვალა. შტილიკეს თავის დროზე გერმანიის ფედერაციული ნაკრების მაისურა 42 მატჩში მოურგია, კლუბებიდან კი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" (1972-1977), მადრიდის „რეალისა" (1977-1985) და შვეიცარიული „ქსამაქსის" ღირსებას იცავდა. არის ევროპის 1980 წლის ჩემპიონი.

**იტალიური „პარმას" ტექნიკურმა დირექტორმა და 90-იანი წლების დიდი „მილანის" მწვრთნელმა არიგო საკიმ ჟურნალისტებთან „იუვენტუსისა" და „მილანის" შანსებზე ისაუბრა. კერძოდ, მან თქვა, რომ უბრალოდ „მილანს" გული არ მიუწევს სკუდეტოსკენ, როგორც ტურინულ კლუბს, „შავწითლების" ყურადღებას ჩემპიონთა ლიგა უფრო იპყრობს, იქ უფრო აღმაფრენით თამაშობენო.**

**თურქულმა** „ფენერბაჰჩემ" ორშაბათს მწვრთნელი ოგიუზ ჩეთინი დაითხოვა. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც „ფენერბაჰჩემ" თურქეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩები აუტსაიდერებთან უფერულად, ულიმღამოდ ჩაატარა და უმრავლესობა წააგო. მუდამ თურქეთის ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ფენერბაჰჩე" ახლა გათამაშების ცხრილში მეხუთე ადგილზეა. ჩეთინის ნაცვლად კი სეზონის ბოლომდე ახალგაზრდული გუნდის თავკაცი ტამერ გიუნეი იმუშავებს.

## პორტუგალია

### I ლიგა. XXVII ტური

**ბელენენსეში 1:1 ჟილ ვისენტე**

0:1 მ. ფილიუ (13), 1:1 ანშოე (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 27 | 23 | 3 | 1 | 59:20 | 72 |
| ბენფიკა | 27 | 18 | 5 | 4 | 57:20 | 59 |
| სპორტინგი | 27 | 15 | 5 | 7 | 41:28 | 50 |
| გიმარაეში | 27 | 12 | 7 | 8 | 42:34 | 43 |
| ლეირია | 27 | 11 | 7 | 9 | 39:37 | 40 |
| ჟილ ვისენტე | 27 | 12 | 4 | 11 | 37:38 | 40 |
| ბელენენსეში | 27 | 9 | 8 | 10 | 36:38 | 35 |
| მარიტიმუ | 27 | 10 | 4 | 13 | 30:40 | 34 |
| ბოავიშტა | 27 | 7 | 11 | 9 | 26:27 | 32 |
| ვარზიმი | 27 | 9 | 5 | 13 | 30:35 | 32 |
| მორეირენსე | 27 | 7 | 10 | 10 | 33:35 | 31 |
| ნასიონალი | 27 | 7 | 10 | 10 | 31:36 | 31 |
| ფერეირა | 27 | 8 | 7 | 12 | 28:39 | 31 |
| ბრაგა | 27 | 7 | 10 | 10 | 23:36 | 31 |
| სანტა კლარა | 27 | 6 | 9 | 12 | 32:42 | 27 |
| აკადემიკა | 27 | 6 | 9 | 12 | 29:41 | 27 |
| ბეირა მარი | 27 | 6 | 7 | 14 | 30:45 | 25 |
| სეტუბალი | 27 | 4 | 11 | 12 | 28:40 | 23 |

## იტალია

### სერია B. XXIX ტური

**ტრიესტინა 2:2 სამპდორია**

1:0 ფავა (24), 2:0 პარიზი (36), 2:1 ბაცანი (49), 2:2 ვოლპი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 29 | 13 | 13 | 3 | 33:20 | 52 |
| სამპდორია | 29 | 13 | 12 | 4 | 42:24 | 51 |
| ანკონა | 29 | 13 | 10 | 6 | 42:31 | 49 |
| ლეჩე | 29 | 11 | 14 | 4 | 34:26 | 47 |
| ვიჩენცა | 29 | 12 | 10 | 7 | 44:35 | 46 |
| ტერნანა | 29 | 12 | 9 | 8 | 35:27 | 45 |
| ტრიესტინა | 29 | 12 | 8 | 9 | 39:31 | 44 |
| ლივორნო | 29 | 10 | 10 | 9 | 33:27 | 40 |
| პალერმო | 29 | 10 | 10 | 9 | 31:32 | 40 |
| მესინა | 29 | 9 | 11 | 9 | 41:40 | 38 |
| ვენეცია | 29 | 9 | 11 | 9 | 29:33 | 38 |
| ასკოლი | 29 | 10 | 7 | 12 | 37:38 | 37 |
| კალიარი | 29 | 9 | 10 | 10 | 31:37 | 37 |
| ვერონა | 29 | 8 | 11 | 10 | 34:33 | 35 |
| ჯენოა | 29 | 8 | 9 | 12 | 37:37 | 33 |
| ბარი | 29 | 5 | 15 | 9 | 25:29 | 30 |
| ნაპოლი | 29 | 6 | 12 | 11 | 29:39 | 30 |
| კატანია | 29 | 8 | 6 | 15 | 30:43 | 30 |
| კოზენცა | 29 | 7 | 5 | 17 | 21:39 | 26 |
| სალერნიტანა | 29 | 4 | 9 | 16 | 21:47 | 21 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა XXVII ტური

**როიტლინგენი 0:2 ფრაიბურგი**

0:1 ბერნერი (7), 0:2 კულიბალი (58)

ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, შ. მიულერი, ცძიტიშვილი, ბაირამოვიჩი (ა. ცაიერი 90), ჰერმელი (ბ. დიარა 62), ბერნერი, კულიბალი, ვ. ბუტი, იაშვილი, ტანკო (გუიე-მიენი 67)

*ლევან კობიაშვილი ტრავმირებულია, ზაზა ზამთარაძე სარეზერვო გუნდშია*

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

9 600 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 27 | 15 | 11 | 1 | 56:33 | 56 |
| ფრაიბურგი | 27 | 16 | 6 | 5 | 46:22 | 54 |
| მაინცი | 27 | 15 | 4 | 8 | 46:27 | 49 |
| აინტრახტი | 27 | 13 | 9 | 5 | 42:25 | 48 |
| ტრირი | 27 | 13 | 6 | 8 | 47:35 | 45 |
| ფიურტი | 27 | 11 | 10 | 6 | 41:29 | 43 |
| ალემანია | 27 | 11 | 9 | 7 | 44:34 | 42 |
| დუისბურგი | 27 | 10 | 9 | 8 | 35:34 | 39 |
| როიტლინგენი | 27 | 10 | 6 | 11 | 34:37 | 36 |
| ლიუბეკი | 27 | 10 | 4 | 13 | 38:37 | 34 |
| ობერჰაუზენი | 27 | 9 | 6 | 12 | 33:37 | 33 |
| ბურგჰაუზენი | 27 | 7 | 11 | 9 | 38:35 | 32 |
| უნიონი | 27 | 6 | 13 | 8 | 29:44 | 31 |
| ალენი | 27 | 7 | 6 | 14 | 35:48 | 27 |
| კარლსრუე | 27 | 5 | 10 | 12 | 24:41 | 25 |
| ზტ. პაული | 27 | 6 | 6 | 15 | 37:56 | 24 |
| ვალდჰოფი | 27 | 5 | 6 | 16 | 28:57 | 21 |
| ბრაუნშვაიგი | 27 | 4 | 8 | 15 | 24:46 | 20 |



# კაცი!
## სინიშა ფეიერპლეიოვიჩი

„ლაციოს" მცველმა, სინიშა მიხაილოვიჩმა კვირას, „კომოსთან" შეხვედრაში მსაჯს თავისი გუნდის გოლი გააუქმებინა. კერძოდ, მეორე ტაიმის დასაწყისში თავდამსხმელმა ბერნარდო კორადიმ „კომოს" კარში ბურთი შეაგდო. მაგრამ მიხაილოვიჩმა მსაჯს, დანიელე ტომბოლინის აუხსნა, რომ კორადის დარტყმამდე მათმა თანაგუნდელმა, ჯუზეპე პანკარომ ხელით ითამაშა და ტომბოლინიმაც გოლი აღარ ჩათვალა. იმ მომენტისთვის „ლაციო" 2:0 იგებდა და საბოლოოდ 3:0 გაიმარჯვა.

„მსაჯს ვუთხარი, რომ გოლამდე ხელი იყო. კორადი გამიბრაზდა" — მოუყვა სერბმა გაზეთებს.

„სინიშა ძალიან სპორტულად მოიქცა — თქვა თავის მხრივ კორადიმ — ასეთი რამ, ალბათ, უფრო ხშირად უნდა ხდებოდეს. მე, ცხადია, არ გავბრაზებულვარ, უბრალოდ ვიხუმრე, ყოველ ტურში ხომ ორი გოლი ვერ გამაქვს".

მიხაილოვიჩის საქციელს იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი აძელიო ვიჩინი გამოეხმაურა.

„ასეთი რამ ფეხბურთს სასიკეთოდ წაადგება. დღეს, როდესაც ყველაფერი კამათმა და ჩხუბმა ჩაყლაპა, მიხაილოვიჩის საქციელი აღნიშვნას ითხოვს, თუნდაც იგი მაშინ მოხდეს, როდესაც გუნდი 2:0-ს იგებს" — განაცხადა ქვეყნის მწვრთნელთა ასოციაციის თავკაცმა.

გოლის გაუქმებამ თავიდან „ლაციოს" სათადარიგოთა სკამზე ბუნებრივი პროტესტი გამოიწვია, მაგრამ მოგვიანებით, მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რომ კმაყოფილი დარჩა.

„თავიდან იმიტომ გავაპროტესტე, რომ წესის დარღვევა არ შემინიშნავს და მსაჯმაც, თუ გახსოვთ, გოლი ჩათვალა, მერე კი ტომბოლინიმ მითხრა, რომ ჩვენებმა თვითონ გააუქმებინეს ეს გოლი. დიახ, მე პატიოსანი ბიჭების გუნდი მყავს".

„კომოს" მწვრთნელი ეუჯენიო ფაბეტი: „თუ ეს მართალია, მაშინ საქმე დიდებულ და მისალოც შემთხვევასთან გვაქვს".

შეგახსენებთ, რომ 2001 წელს ლონდონის „ვესტ ჰემის" იტალიელმა თავდამსხმელმა პაოლო დი კანიომ ფიფას ფეირ პლეის ჯილდო იმიტომ მიიღო, რომ გაგანია ბურთაობის დროს „ევერტონის" მეკარე, პოლ ჯერარდი დაშავდა და მან ხეირიანი პოზიციიდან კარში დარტყმის ნაცვლად ბურთი ხელში დაიჭირა.

**ბაჩუნა ძიძია**

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება

ბილიარდი

პული, რუსული პირამიდა, სნუკერი




აქსესუარები

1000-ზე მეტი დასახელება

სპეციალური ფასები ბილიარდის კლუბებისათვის

მაღაზია სალონი WWW.billiard.ge

ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46

ქ. თბილისი, უზნაძის ქ (ყოფ. კამო) №:2

რეკლამა

სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ფული და ღირსება

## შტეფან ეფენბერგმა გერმანიაში ყველაფერი გაყიდა, ყატარში კი ნავთობდოლარებით ლუდსაც ვერ დალევს






*ადგა და წავიდა, წავიდა ისე, როგორც წასვლასაც სხვა ვერ გაბედავდა. გაბედავდა კი არა, ვერც გაიფიქრებდა. მან კი გაიფიქრა და გაბედა კიდეც, შემდეგ კი თქვა: „მე ამაყი ვარ, რადგან ჩემს პრინციპებს არ ვუღალატე და ბოლომდე მისი ერთგული დავრჩი. ფული? ფული ეშმაკს წაუღია.“ ბუნდესლიგაში კი პატარა ერა დასრულდა. ერა, რომელსაც სულ ორი სიტყვით „ეფენბერგის ერა“ შეგვიძლია ვუწოდოთ.*

**შტეფან ეფენბერგმა** ქუდი დაიხურა და თანამემამულეებს დაემშვიდობა. TSCHUC — ეს იყო მისი ბოლო სიტყვა, რომელიც შაბათს აეროპორტში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრენის წინ გერმანელებს დაუტოვა და რომელიც ქართულად ნახვამდის ნიშნავს. თუმცა, ვიდრე ამას იტყოდა, გერმანულ გაზეთ „ბილდს“ მცირე ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა, რომელშიც უმეტესად თავის ღირსებაზე ისაუბრა, იმ ღირსებაზე, რის გამოც ხშირად ისეთი რამე ჩაუდენია, ყველას პირი დაუღია.

რითი გაიცნო ეფენბერგი საფეხბურთო სამყარომ? აწეული შუა თითით. და ვის აუწია შუა თითი „ეფემ“? საკუთარ გულშემატკივარს, რომელმაც ჯერ კიდევ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში ცუდი თამაშის გამო დაუსტვინა. „ეფემ“ კი შეურაცხყოფა ვერ აიტანა. რას, რას და „გერმანულ ვეფხვად“ მონათლული, ღირსების შელახვას არავის აპატიებდა.

მერე იყო „ბაიერნი“. იყო უთანხმოება მიუნხენური კლუბის პრეზიდენტ და ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერთან, თუმცა „ეფემ“ თავი არც „იმპერატორს“ მოუდრიკა. ამაყი „ეფე“ ამაყ „ეფედ“ დარჩა.

მერე იყო გასაოცარი ფოტო — პაპარაცის მახვილ თვალს არ გამოპარვია „ბაიერნის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგების აღსანიშნავ საღამოზე „ეფეს“ ფეხი ფეხზე გადაედო, მარცხენა ხელში დიდი სიგარა ეჭირა და მედიანად აბოლებდა, მარჯვენა ხელი კი გვერდით მჯდომი ოტმარ ჰიცფელდისთვის გადაეხვია. ამასაც მხოლოდ ის თუ გაბედავდა.

და აი, მისთვის ქუდის მოდრეკა ვილაც იურგენ რიობერმა მოინდომა. „ვოლფსბურგის“ უტიტულო მწვრთნელმა, რომელმაც ერთ-ერთ ვარჯიშზე შტეფანს ჰკითხა, ჰეი, შენ, ღვინო ხომ არ გაქვს დალეულიო, მერე კი წონის დაკლება მოსთხოვა.

„მე არავის და არაფრის წინაშე არ დავიჩოქებ. ბევრი სათადარიგოთა სკამზე გადაჯდებოდა და ფულს წყნარად ჩაიჯიბავდა. თუმცა ჩემთვის ეს წარმოუდგენელია. ბოლო დროს იმდენჯერ ავიწონე, ამდენჯერ მთელი ცხოვრება არ შევმდგარვარ სასწორზე. „ჰანზასთან“ მატჩისთვის თავს სრულ მზადყოფნაში ვგრძნობდი. ამ დროს კი გაზეთში ვკითხულობ რიობერის სიტყვებს, შტეფანი ჯერ მზად არ არისო. მას შეეძლო ეს პირადად ჩემთვის ეთქვა, იგი კი გაიქცა და ხალხის გასაგონად თქვა. მერე კი თვალებში რომ შევხედე და თავისივე სიტყვების ახსნა მოვთხოვე, ყველაფერი ჟურნალისტების მოგონილია, მიპასუხა. ამით მის პიროვნებაზე ყველაფერი ნათქვამია“ — განაცხადა 34 წლის ფეხბურთელმა ინტერვიუში, ბოლოს კი დააყოლა — „მე წავედი! „ვოლფსბურგის“ წარმატება ალალად გამიხარდება, ასევე გამიხარდება ჩემი წასვლის მერე ვინმე თუ იტყვის, ბუნდესლიგას რაღაც დააკლდაო და ამ „რაღაცაში“ მე მიგულისხმებს“.

და რას ამბობს ამასთან დაკავშირებით იურგენ რიობერი, რომელმაც „ეფეს“ გადაწყვეტილების ამბავი ჟურნალისტებისგან გაიგო?

„თავიდან ყველაფერი საპირველაპრილო ხუმრობა მეგონა, მის ამ ნაბიჯს დღემდე ვერ ვხსნი. მე მას პირისპირ საუბრის დროსაც ვუთხარი, რომ ჩვენთვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ოღონდ ფორმაში უნდა ჩამდგარიყო. რაც შეეხება სასწორის ამბავს, ჩემს გუნდში თითოეულმა ფეხბურთელმა იცის, რომ კვირაში ერთხელ უნდა აიწონოს, ეფენბერგი გამონაკლისი რატომ უნდა ყოფილიყო? რამდენიმე დღის წინ კი იგი თავად მოვიდა და მითხრა, ორი კილო მაქვს დასაკლებიო“ — ასეთია რიობერის კომენტარი.

უინტერესო არც სხვათა აზრი უნდა იყოს.

„ქუდს ვიხდი ეფენბერგის წინაშე. მან ბუნდესლიგაში თავისი კვალი დატოვა“ — უკანასკნელ გზაზე გასაცილებელი სიტყვები წარმოთქვა „შალკეს“ მენეჯერმა რუდი ასაუერმა.

ეფენბერგის ბუნდესლიგიდან წასვლა გერმანული ფეხბურთისთვის დიდი დანაკლისიაო, აღნიშნა „ჰერტას“ თავკაცმა ჰუუბ სტევენსმა. შტეფანს ასეთი მოქცევა არ დაუმსახურებიაო, განაცხადა ექსგუნდელმა ჯოვანი ელბერმა და დააყოლა, მას გამოსათხოვარი მატჩი ეკუთვნის, რომელშიც, იმედია, მეც დამპატიჟებსო.

„ეფე“, „ეფეა!“ თავისი პიროვნულობით და ხასიათით, რომლის გამოც უდიდეს პატივს ვცემ — სამწუხაროა, რომ მასთან თანამშრომლობის ბედნიერება არ მხვდა წილად“ — სინანული გამოთქვა „ჰანოვერის“ მენეჯერმა რიკარდო მორმა. ფეხბურთელის ყოფილმა დამრიგებელმა ოტმარ ჰიცფელდმა კი განაცხადა, ეგ ამბავი რომ გავიგე, ძალიან მეწყინა, მაშინვე დავურეკე და შევთანხმდით, რომ იგი მხოლოდ ბუნდესლიგას დატოვებდა, კარიერას კი სადმე გააგრძელებდაო.

ერთადერთი, ვინც განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა, პოლ ბრაიტნერი გახლდათ, წარსულში სახელოვანი ფეხბურთელი, რომელიც უკვე დიდი ხანია, მედიასთან თანამშრომლობს და როგორც საფეხბურთო ექსპერტი ხშირად სტატიებსაც აქვეყნებს.

„ეფენბერგმა დააგვიანა. მას ეს ნაბიჯი 15 თვის წინ უნდა გადაედგა, როცა მძიმედ დაშავდა. აშკარაა, მას მერე მან ფორმა ვერ აღიდგინა. ვერ გეტყვით, „ვოლფსბურგის“ მიერ მისი მიწვევის მიზანს, რეკლამის გამო გააკეთეს ეს გუნდის ხელმძღვანელებმა თუ ეფენბერგის შესაძლებლობებში იყვნენ დარწმუნებულნი. სამაგიეროდ, გეტყვით, რომ მისი წასვლით არც გუნდს დააკლდება რამე და მით უმეტეს, არც ბუნდესლიგას“ — ასეთია ექსპერტის კომენტარი.

ბრაიტნერი რომ ამას ამბობდა, „ეფე“ თავის მეგობარ (ქართულად რომ საყვარელს ეძახიან) კლაუდია შტრუნცთან ერთად უკვე ამერიკაში იყო და ალბათ ჯაკუზშიც ნებივრობდა. ხოლო სანამ გერმანიას დატოვებდა, თავის საქმეთა განმგებს გერმანიაში მის მფლობელობაში არსებული მთელი უძრავი ქონების გაყიდვა დაავალა.

„ფლორიდაში ერთ სახლს შევიძენ და აქ დავფუძნდები. მზე და გახსნილი, მხიარული ადამიანები, ეს სწორედ ისაა, რაც ცხოვრებაში ყველაზე მეტად მიზიდავს — აცხადებს „ეფე“ და დასძენს — აქ არც ყურადღების ცენტრში ვიქნები და ამ მხრივაც დავისვენებ, გარდა ამისა, შვილებთანაც ახლოს ვიქნები.“

16 აპრილს ეფენბერგი ბებერ კონტინენტზე ისევ დაბრუნდება, რათა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულოს. მას ტელეკომპანია RTL-თან დადებული ხელშეკრულება ჩემპიონთა ლიგის მატჩების კომენტირებას ავალდებულებს. თავის მისიას „ეფე“ „მანჩესტერი“ — „რეალის“ ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში შეასრულებს.

მერე კი...

მერე ფეხბურთელი ალბათ ყატარს ეწვევა, ქვეყანას, რომლის განმგები შეიხიც ფეხბურთით დაავადებული ყოფილა და ამ სპორტის თავის ქვეყანაში განსავითარებლად არც ნავთობის სუნით გაჟღენთილ დოლარებს იშურებს.

ყატარის ფეხბურთის ფედერაცია ამერიკის პროფესიული საფეხბურთო ლიგის მსგავს პოლიტიკას ატარებს. იგი ცნობილ ვეტერან ფეხბურთელებს თავად ყიდულობს და მერე კლუბებში ანაწილებს. ყატარელებმა ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონის, რომარიოს გადაბირება უკვე მოახერხეს და ახლა გულში ეფენბერგის ყიდვა ამოუჭრიათ.

„რატომაც არა? რომარიო იქ უკვე თამაშობს და მალე შესაძლოა ანდრეას მიოლერიც გადავიდეს. თუ შესაფერისი პირობები იქნება, უარს არც მე ვიტყვი“ — ამბობს შტეფანი, რომელსაც რჩევას ერთ დროს ფრანკფურტის „აინტრახტში“ კახა ცხადაძის თანაგუნდელი, განელი ენტონი იებოაც აძლევს. იგი 2002 წლის მაისამდე, ნახევარი სეზონი თავადაც თამაშობდა ყატარულ „ალ ეტეჰად სპორტს კლაბში“.

„იქ თამაშს არაფერი სჯობს. თამაშს თუ წააგებ, დიდი არაფერი დაშავდება. შედეგი მაინც არავის აინტერესებს, თამაშის მერე ყველას სათითაოდ გადაკოცნი, ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ და მარცხნიც წარსულს ჩაბარდება. იქ ფეხბურთი უბრალოდ ჰობია. ყატარში მხოლოდ ფულისთვის თუ წახვალ. დარწმუნებული ვარ, ეფენბერგს დიდი ზარ-ზეიმით მიიღებენ. მისი ჩასვლა იქაური შეიხებისთვის დიდი ბედნიერება იქნება, რადგან მას ჩემპიონთა ლიგიდან იცნობენ. შტეფანს დიდი წვალება არ ელის: დღეში ერთხელ, საღამოს 6 საათზე ვარჯიში და ისიც შეიძლება ჩაიშალოს იმის გამო, რომ შენს გარდა არავინ მოვიდეს“ — ამბობს იებოა.

ფულზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, რომარიო, მაგალითად, სეზონში 1,5 მილიონ დოლარს იღებს, „ეფეს“ უფრო მეტს ჰპირდებიან. არ დაგავიწყდეთ, შარშან დეკემბერში შეიხებმა იტალიურ „მილანს“ ყატარში ერთი მატჩის გამართვის სანაცვლოდ ისეთი თანხა შესთავაზეს, თვით სილვიო ბერლუსკონი და ადრიანო გალ[illegible], მოიხიბლნენ და გუნდი 20 საათით ამ აზიურ ქვეყანაშიც გაუშვეს.

თუმცა ყატარს თავისი მინუსებიც აქვს. კერძოდ, ეფენბერგს რომ მინდორზე სათამაშოდ გასვლა მოუწევს, მზე გადაწურული კი იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფეხბურთელს სულ მცირე, 50-გრადუს სიცხეში მაინც მოუწევს სირბილი.

თამაშის მერე დასიცხულმა თუ ცივი ლუდის დასალევად ბარს მიაშურა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდება, ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა ქვეყანაში აკრძალულია, მხოლოდ სასტუმროში თუ შეიძენს რამეს ცეცხლის ფასად, ისიც იმ შემთხვევაში, ნომერს თუ აიღებს. ისე, 1996 წლამდე ყატარში ქალსა და მამაკაცს მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდნენ ერთ ნომერს, თუ კი სასტუმროს ადმინისტრაციას ქორწინების მოწმობას წარუდგენდნენ. ასე რომ, ამ მხრივ გაუმართლა. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ყატარი ერაყთან ყურის ძირშია და იქ ამერიკელებს თავისი სამხედრო ძალების ცენტრალური შტაბი აქვთ. ყატარელებს თუ ვერწმუნებით, ამის მიუხედავად მათ ქვეყანას არანაირი საშიშროება არ ემუქრება.

და თუ შეიხებმა ნავთობიანი დოლარებით ეფენბერგის მახეში გაბმა მოახერხეს, მაშინ ერთ კაცს გული ძალიან დაწყდება. ბელგრადის „პარტიზანის“ გერმანელ თავკაც ლოთარ მათეუსს თუ დავუჯერებთ, მას იმედად მოსურვებია ყოფილი თანაგუნდელის თავის გუნდში ხილვა უკვე კლუბის სპორტული დირექტორი ნენად ბიეკოვიჩიც დაუყოლებია.

სიტყვა ეფენბერგზეა...

**განო ოქროპირიძე**
*ბერლინიდან*



ეფენბერგმა ამერიკაში ნამეყვარის ნაცოლარი კლაუდია შტრუნცაც წაიყვანა



იურგენ რიობერმა „ეფეს“ კილოგრამები დაუთვალა




REUTERS

ბოკა ხუნიორსი — ოლიმპო. როჯერიო მარტინესმა მასპინძელთა კაპიტანი დიეგო კანა ბურთისკენ არ გაახედა

# ჩემპიონმაც კი მოიგო

## არგენტინა

### კლაუსურა

**მე-8 ტური: ბანფილდი — რასინგი 2:3; სან ლორენსო — ხიმნასია 1:1; როსარიო — კოლონი 1:1; ინდეპენდიენტე — ჩაკარიტა 1:0; ნუევა ჩიკაგო — ველესი 0:1; უნიონი — ოლდ ბოიზი 0:2; ბოკა ხუნიორსი — ოლიმპო 1:1; ესტუდიანტესი — ლანუსი 1:1; არსენალი — ურაკანი 0:0; ტალიერესი — რივერ პლეიტი 1:3**

აპერტურას ჩემპიონმა „ინდეპენდიენტემ“ მიმდინარე კლაუსურას რვა ტურში პირველად მოიგო. გუნდმა 1:0 სძლია „ჩაკარიტა ხუნიორსს“, ხოლო შეხვედრის გმირი ნახევარმცველი ლუკას პუსინერი შეიქნა, რომელმაც ეს ერთადერთი გოლი შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე გაიტანა.

ამ გამარჯვებამ აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი ბოლოდან მე-17 ადგილამდე ამოაცოცა და ეგებ პირველმა გამარჯვებამ კიდევ ერთი კვირით გაუხანგრძლივა გუნდის სათავეში ყოფნა შარშანდელ გმირს, მწვრთნელ ამერიკო გალიეგოს.

„რივერ პლეიტმა“ 3:1 მოუგო „ტალარიესის“ „სპილოების სასაფლაოზე“ და ბურთების უკეთესი სხვაობით გაუსწრო „ბოკას“, რომელიც ბოლო ოთხ ლღეში მეორედ იგებდა თამაშს და მეორედ დასჯერდა ფრეს.

„ბოკა“ ალფრედო მორენომ დააწინაურა „ოლიმპოსთან“ მატჩში, მაგრამ სელვიო კარარიომ გაათანაბრა და ბოკელებმა ველარაფერი შეძლეს. ასეთივე რამ დაემართა კარლოს ბიანკის გუნდს ლიბერტადორესის თასზე, ჩილეს „კოლო კოლოსთან“ შეხვედრაში, ოღონდ ის თამაში 2:2 დასრულდა.

ახლა „რივერს“, „ბოკას“ და მერვე ტურში „ნუევა ჩიკაგოს“ მძლეველ „ველეს სარსფილდს“ 19-19 ქულა აქვთ და პირველ სამეულსაც ისინი შეადგენენ.

### ონორიო ბუსტოს დომეკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 8 | 6 | 1 | 1 | 19:6 | 19 |
| ბოკა ხუნიორსი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:6 | 19 |
| ველესი | 8 | 6 | 1 | 1 | 13:4 | 19 |
| რასინგი | 8 | 5 | 2 | 1 | 15:7 | 17 |
| როსარიო | 8 | 4 | 3 | 1 | 17:11 | 15 |
| ოლიმპო | 8 | 4 | 2 | 2 | 12:8 | 14 |
| უნიონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:9 | 11 |
| ესტუდიანტესი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 11 |
| კოლონი | 8 | 2 | 5 | 1 | 7:6 | 11 |
| ნუევა ჩიკაგო | 8 | 3 | 2 | 3 | 13:14 | 11 |
| ხიმნასია | 8 | 3 | 2 | 3 | 9:12 | 11 |
| ოლდ ბოიზი | 8 | 2 | 4 | 2 | 11:11 | 10 |
| ჩაკარიტა | 8 | 2 | 2 | 4 | 6:6 | 8 |
| არსენალი | 8 | 1 | 4 | 3 | 3:7 | 7 |
| სან ლორენსო | 8 | 1 | 4 | 3 | 11:17 | 7 |
| ტალიერესი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:10 | 6 |
| ინდეპენდიენტე | 8 | 1 | 3 | 4 | 6:14 | 6 |
| ლანუსი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | 5 |
| ბანფილდი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:14 | 5 |
| ურაკანი | 8 | 0 | 3 | 5 | 4:17 | 3 |

# მხეცი დაბრუნდა

## ბრაზილია

**მე-2 ტური: ფლუმინენსე — ფორტალეზა 1:1; ატლ. მინეირო — სანტოსი 0:0; კურიტიბა — ინტერნასიონალი 0:1; გრემიო — გუარანი 3:1; ფიგეირენსე — კორინთიანსი 3:3; ბაია — ფლამენგო 1:2; პაისანდუ — ვიტორია 1:2; პონტე პრეტა — ჟუვენტუდე 1:0; სან კაეტანო — კრისიუმა 3:2; პარანა — ატლ. პარანენსე 3:0; სან პაულუ — კრუზეირო 2:4; ვასკუ და გამა — გოიასი 6:4**



ედმუნდოს ზემოდან დახტომა პყვარებია

ედმუნდო დაბრუნდა, ედმუნდო მხეცი, ედმუნდო პირუტყვი.

შოუც ფრიადი გამოვიდა: „ვასკუ და გამას“ ფორმაში გამოწყობილი, ის ვერტმფრენით დაეშვა მინდორზე. ლეგენდარული ფეხბურთელის დაბრუნების დღე „ვასკუმ“ უცნაური გამარჯვებით აღნიშნა, 6:4 მოუგო „გოიასს“. ეს ყველაფერი კი მოხდა საერთობრაზილიური პირველობის მეორე ტურში.

ედმუნდო, რომელიც თავისი 28 გოლით „ვასკუ და გამას“ ჩემპიონობის სულისჩამდგმელი იყო 1997 წელს, მერე კი ევროპაში იმოგზაურა და კვლავ „ვასკუში“ დაბრუნებულს საქმეები აერია, ბოლო წლები მინდორზე ვერ გადიოდა და სასამართლოებში გადასახადების გადაუხდელობის საქმეზე დაიარებოდა. საქმე მეტად გაწელილი იყო და ბოლოს ედმუნდო დათანხმდა, რომ მისჯილი ფულის 70 პროცენტი გადაეხადა, ოღონდ კი თამაშის უფლება მიელო.

სასამართლო ისედაც ახლოა ედმუნდოსთვის: სხვადასხვა დროს მას უცემია მოთამაშეები, გაურტყია მსაჯისთვის და ლუდიც კი შეუსხამს შიმპანზესთვის, რომელიც ბავშვების წვეულებაზე მოეყვანათ.

ამბობდნენ, რომ ედმუნდო ათი დღის მერე გავა მინდორზეო, მაგრამ კლუბმა ვეღარ მოითმინა.

ვერტმფრენი რომ გაფრინდა, „ვასკუელთაგან“ გოლები გაიტანეს მარსელინიო კარიოკამ (ორი) სოუზამ, ვესლიმ, კადუმ და ანდერსონმა. „ვასკუ“ იგებდა 2:1, 3:2, ბოლოს კი 6:4 მოიგო. სტუმართაგან დუბლი დიმბამ შეასრულა. ამასობაში წააგო „სან პაულუმ“, რომლის მწვრთნელ ოსვალდო ოლივეირასაც, ალბათ, მალე დაითხოვენ. წლეულს დაუმარცხებელმა „კრუზეირომ“ 4:2 სძლია მის გუნდს სამპენალტიან თამაშში. გამარჯვებულთა 4 გოლიდან სამი ალექსმა გაიტანა, აქედან ორი — პენალტით. „კრუზეიროს“ ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ვანდერლეი ლუშემბურგო თავკაცობს.

ჩემპიონმა „სანტოსმა“ ზედიზედ მეორე, ამჯერად უგოლო ფრე ითამაშა „ატლეტიკო მინეიროსთან“. ამასობაში კი ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა კლუბმა „ფლამენგომ“ 2:1 მოუგო „ბაიას“ ფერნანდო ბაიანოს გვიანი გოლით. „მენგომ“ ანგარიში გახსნა, მაგრამ მერე მისმა მეკარემ ჟულიო სეზარმა ბურთი ზურგში მოარტყა თანაგუნდელ ფაბიანოს და ანგარიში ასე გათანაბრდა.

ორი ტურის თავზე ოთხ-ოთხი ქულა ბარე შვიდ გუნდს აქვს, პირველობა კი ხურდება.

**ლუკაუ დი მოზკაუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარანა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ატლ. მინეირო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| კრუზეირო | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| სან კაეტანო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ფლამენგო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვიტორია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინტერნასიონალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პონტე პრეტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კრისიუმა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ვასკუ და გამა | 2 | 1 | 0 | 1 | 8:8 | 3 |
| გუარანი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| გრემიო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ატლ. პარანენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ფიგეირენსე | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| სანტოსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ფორტალეზა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| პაისანდუ | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ჟუვენტუდე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გოიასი | 2 | 0 | 1 | 1 | 6:8 | 1 |
| სან პაულუ | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | 1 |
| ბაია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კურიტიბა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ფლუმინენსე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| კორინთიანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | 1 |

# მე-13 თავი

*1989 წლის 7 ნოემბერს დიეგო არმანდო მარადონამ და კლაუდია ვილაფანემ ერთმანეთს სიყვარული ოფიციალურად შეჰფიცეს — ბუენოს აირესში ხელი მოაწერეს. ეს ფორმალური მხარეა, არაფორმალური კი გაცილებით ადრე, 1976-ში დაიწყო, როცა მარადონამ დაბადებიდან 16 წელი იზეიმა. მათი გაცნობის დღეს „არხენტინოს ხუნიორსში“ მარადონას დებიუტი შედგა.*

აი, როგორ იხსენებს ფეხბურთელი იმ დღეს: „ჩემი ოჯახი არხერიჩის ქუჩაზე (ბუენოს აირესში) ლაბინავდა. ჩვენს ეზოში ცხოვრობდნენ ვილაფანებიც: მამა, კოკო ვილაფანე, ტაქსისტი და „არხენტინოს ხუნიორსის“ თავგადაკლული ქომაგი, მისი მეუღლე პოჩი და ქალიშვილი კლაუდია. მახსოვს, მე და კლაუდია ერთმანეთს თვალებით ვხვრეტდით. როცა სახლიდან გავდიოდი, ის ყოველთვის ფანჯრიდან მიმზერდა. რვა თვე დამჭირდა მასთან დასაახლოვებლად. ზუსტად გეტყვით, 1977 წლის 28 ივნისი იყო. ღამის 2 საათზე კლუბში საცეკვაოდ ჩემი წითელი „ფიატით“ წავედი. კლაუდია იქ თანაკლასელებთან ერთად ერთობოდა. ორივე ვგრძნობდით, რომ მრავალი ცნობისმოყვარე გვაკვირდებოდა. მხოლოდ ერთხელ, მსუბუქად დავუქნიე თავი და მაშინვე ცხვირწინ ამეტუზა. ის სიტყვები ერთმანეთს მაშინ რომ ვუთხარით, არასოდეს დამავიწყდება“.

1987 წლის 2 აპრილს დონ დიეგოს პირველი ქალიშვილი, დალმა, შეეძინა. სად იყო იმ დროს მამა? ის „ნაპოლის“ შემადგენლობაში „ემპოლისთან“ მატჩისთვის ემზადებოდა. მეორე შვილის, ჯანინის დაბადების დღეს კი მარადონა სათადარიგოთა სკამზე იჯდა მაშინ, როცა „ნაპოლი“ „რომას“ ეთამაშებოდა.

დონ დიეგოს ორივე შვილი ბუენოს აირესში დაიბადა. მისი ცოლი ეულად გაემგზავრა სამშობლოში სამშობიაროდ. ფეხბურთელი ყოველთვის აღფრთოვანებული იყო კლაუდიას თავგანწირვით. სხვათა შორის, დალმას გაჩენის წელს „ნაპოლიმ“ „სკუდეტო“ მოიგო, ქვეყნად ჯანინის მოვლენა კი უეფას თასის მოგებას დაემთხვა.

კლაუდია ორი შვილის დედა გახლდათ, როცა ბუენოს აირესში ხელი მოაწერეს. „ბევრი მეგობარი მეკითხებოდა — იხსენებს მარადონა — ხელს რატომ არ აწერთ? რა უნდა შეპასუხა? სიყვარულს ფურცლები არ სჭირდება. მერე კითხვა შემობრუნეს — რატომ მოაწერეთ ხელი? იმიტომ, რომ უცბად ასე მომინდა. იმიტომ, რომ მიყვარს ქალი, რომელიც მუდამ ჩემს გვერდით იყო. კიდევ სიდედრისა და სიმამრის პატივისცემის გამო. ეს ზეიმი მათთვის მოვაწყვე. ამით კლაუდიას ბოდიში მოვუხადე“.

თავის ავტობიოგრაფიაში ფეხბურთელმა მეუღლეს მე-13 თავი მიუძღვნა და თავს „უძვირფასესი“ დაარქვა: „კლაუდია ერთადერთი და განუმეორებელია! ღმერთმა მითხრა, რომ იგი ჩემი ბედისწერაა და მისი მსგავსი მსოფლიოში არავინაა. კლაუდია განძია. ქმრისთვის, ბავშვებისთვის, გილერმო კოპოლასთვის (მარადონას მეგობარი და მენეჯერი) თავს გაწირავს. კოპოლას დედა ავად რომ იყო, გვერდიდან არ მოშორებია. კლაუდიას ვერავის შევადარებ. ის ჩემთვის უძვირფასესია. ოჯახში ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ისეთი პერიოდიც ყოფილა, როცა მის გარეშე ალბათ დავილუპებოდი. ბევრს აინტერესებდა, როგორ მიძლებდა ასეთ აუტანელს. იმიტომ მიძლებდა, რომ მისთვის არასოდეს მიწყენინებია. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარის შემდეგ კლაუდიამ ჟურნალისტებს უთხრა, რომ უჩემოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს სიყვარული სამარემდე“.

სამარემდე ჯერ ბევრი დროა. ოფიციალური ფიციდან 14 წლის თავზე კი დიეგო-კლაუდიას კავშირი ოფიციალურადვე გაწყდა. 7 მარტს კლაუდია ვილაფანემ სასამართლოს ძალით გაყრა მოითხოვა. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს. ბავშვები დედასთან დარჩნენ და მამისგან ყოველთვიურად ალიმენტს მიიღებენ. გარდა ამისა, ცოლ-შვილს ბუენოს აირესში წამოჭიმული სასახლე ერგო და „მარადონას მუზეუმის“ შემოსავლის ნახევარსაც დაისაკუთრებენ.

დიეგო 2000 წლიდან უმეტეს დროს კუბაში ატარებს, ხოლო ბუენოს აირესში ჩასვლისას სასტუმროში ცხოვრობს. კლაუდიას მამამ, კოკო ვილაფანემ თქვა, რომ ოჯახის დანგრევას ძალიან ბევრი წინა პირობა უძღვოდა და ეს გარდაუვალი იყო.

90-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთი ჟურნალის გარეკანიდან ასეთი სათაური „ყვიროდა“: „მე 600 ქალი მყავდა!“ — ეს სიტყვები დიეგო არმანდო მარადონას ეკუთვნის და ძნელია, მის ნათქვამში ეჭვი შეიტანო. ქალთა რაოდენობა მარადონას გოლების საერთო რაოდენობაზე თითქმის ორჯერ მეტია.

**ვაჟა ხუციშვილი**



კლაუდია დიეგოს მუდამ თავისკენ ახედებდა...



...მას კი დახეთ, გული საით მიუწევდა

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## მარკო ვან ბასტენი

# ღვთისგან დასჯილი უსაქმური



*ნერილის ბუნდოვნად დაწყება, გეგონება მკითხველმა იმთავითვე არ იცოდეს ვისზეა ლაპარაკი, მთლად გამართლებული ხერხი არ უნდა იყოს. წარმოიდგინეთ სტატია პირველი წინადადებით: თუ მიხვდებით ვისზე თქვა იოჰან კრუიფმა ეს სიტყვები... და ამ დროს გვერდით მარკო ვან ბასტენის დიდი ფოტოა მისკუპებული, სათაურით კი ან მკაფიო მინიშნება აქვს, ანაც პირდაპირ „ვან ბასტენი, რაღაც და რაღაც" ჰქვია. ამიტომაც, თქვენი ნებართვით ასეთ ვითომ მხატვრულობას მოვერიდებით და ვიტყვით: თავის წიგნში იოჰან კრუიფი მარკო ვან ბასტენზე საუბრისას იგონებს ერთ ამბავს, რომელიც დიდ ჰოლანდიელს სამუდამოდ ჩაბეჭდვია გონებაში.*

ამბავი მარტივია და წესით მასზე ყურადღება არ უნდა გამახვილებულიყო, მაგრამ ვინაიდან კრუიფს ფეხბურთი მხოლოდ სპორტული კი არა, ფილოსოფიური კუთხითაც აწვალებს, ამ ისტორიამ აგერ ჩვენამდეც მოაღწია. ამბავი ასეთია: ყმაწვილმა ვან ბასტენმა, „აიაქსში" თამაშის დროს, თანაგუნდელის არცთუ ხეირიანი პასიდან დიდი ვერაფერი გამოიყვანა და, თუ არ ვცდებით, არც მოუკლავს თავი — ჩათვალა, რომ ცუდი პასით იმ ეპიზოდში გოლს ვერ შეაგდებდა. კრუიფმა ეს მომენტი დაიმახსოვრა და თამაშის შემდეგ უკვე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მყოფ ამომავალ ვარსკვლავს უსაყვედურა. ვან ბასტენმა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის გასაგებად მიუგო, პასი არ ვარგოდაო და როგორც გაირკვა, სამუდამოდ გაუტეხა გული მოძღვარს. კრუიფი გაბრაზდა: ვარსკვლავი ის კი არ არის, შენ ხარ. ამიტომ მისგან უხეირო პასის მიღება ბუნებრივია, შენ კი ვალდებული ხარ, ის, რაც სრულყოფილი არ არის, სრულყოფილად აქციო და თუ ეს თვისება, ამის სურვილი არ განვითარდება, იდეალური ვერ გახდები — ასე, თუ დაახლოებით ასე მიახალა თავდამსხმელს.

გავიდა წლები. ვან ბასტენმა დიდი ფეხბურთი ითამაშა, ლეგენდარულ, ქარიზმიან ვარსკვლავად ჩამოყალიბდა, მაგრამ მოძღვარს მაინც დაუტოვა გულში ხინჯი. კრუიფი დღემდე თვლის, რომ მას არასრულყოფილის სრულყოფილად ქცევის ჟინი ბოლომდე არ განუვითარდა და ამ ადამიანური ნაკლის გამო საფეხბურთო ღმერთებისკენ მიმავალ გზაზე სადღაც, რომელიღაც ადგილას გაჩერდა.

მაგრამ ჩვენ, დანარჩენები, ხალხნი ვართ, ადამიანები, რომელთაც ფეხბურთის ღმერთი არ გვინახავს. ჩვენ გვინახავს მარკო ვან ბასტენი, თავდამსხმელი, რომელიც ელეგანტური ტექნიკით და ორთავე ფეხით გატანილი გოლებით წლების განმავლობაში უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა და ტიტულს ტიტულზე იხვეჭდა. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ბოლო ოცწლეულის საუკეთესო ფორვარდია და თუკი ვინმე, ოდესმე, სადმე მსოფლიოს ყველა დროის უდიადეს თავდამსხმელებს ჩამოთვლის, ჰოლანდიელი პირველთა შორის უნდა ახსენოს — აი, ასე!

სხვა მხრივ კი... ბოლო სამი წელიწადია ვან ბასტენი „არაფრის კეთებით" გახლავთ დაკავებული. ასე ამბობს თავად, იღიმება და ხასხასა ბალახზე გოლფს აგორებს. არა, არ იფიქროთ, რომ საფეხბურთო სამყაროს იგი დაავიწყდა. პირიქით, მდიდარ-მდიდარი კლუბები ძალიან ხშირად სთხოვენ თანამშრომლობას, მაგრამ მან ნახა რუუდ გულიტისა და ფრანკ რაიკაარდის სამწვრთნელო თავგადასავლები, მოუსმინა სხვებსაც, ვისაც გუნდების გაძღოლაში დაუხარჯავთ ნიჭი და ენერგია და... გოლფის მოედნისკენ გაეშურა.

„28 წლამდე ლაღად ვთამაშობდი, ის დრო საუცხოოდ მახსენდება, მაგრამ შემდეგ კოჭის ტკივილმა გამაწამა და 31 წლისამ ყველაფერს თავი დავანებე. კოჭი მერეც მახსენებდა თავს, კიდევ სამკურნალო იყო. ამიტომ არაფერს ვაკეთებ და ეს არაფრის კეთება ძალიან მსიამოვნებს. ზარმაცი კი არა ვარ, უბრალოდ, შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ ამ ეტაპზე სჯობს რაღაც სხვა საქმე გამოვნახო. იცით, ფეხბურთელობა დიდი ხალისია, მწვრთნელობა კი სულ სხვა რამ გახლავთ".

სხვათა შორის, ამიერიდან, მწვრთნელებსა და მწვრთნელობაზე რაც უნდა თქვას, მისი ოდინდელი, ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროინდელი ერთი ფრაზა ყოველთვის წამოჰყოფს თავს. კერძოდ: „დავაკვირდი და მივხვდი, რომ უმაღლესი კვალიფიკაციის ათი მწვრთნელიდან გუნდს მხოლოდ ერთი აუმჯობესებს, ექვსი არ აფუჭებს. სამი კი აშკარად აუარესებს".

გვახსენდება ლეგენდარული „მილანის" თავკაცის, არიგო საკის ერთი გამონათქვამიც: „ჩემს ხელში გავლილ ფეხბურთელთა შორის დიდი მწვრთნელის მონაცემები მხოლოდ სამს შევამჩნიე, მარკო ვან ბასტენს, კარლო ანჩელოტისა და მაურო ტასოტის".

აი, ახალმა თემამაც ბუნებრივად წამოჰყო თავი — „მილანი". ამას ხომ ისედაც ვერსად გავექცეოდით, ხან გულიტი და რაიკაარდი ვახსენეთ, ხან საკი... გამოდის, რომ ძირითადად „მილანს" ვუტრიალებდით, ოღონდ ისე, რომ აქამდე არ გვიხსენებია.

მაშ, ვახსენოთ: ახალგაზრდა ვან ბასტენი კრუიფს თანაგუნდელების პასებს რომ უწუნებდა და ჰოლანდიურ ტიტულებს იგებდა, „მილანის" პრეზიდენტი, სილვიო ბერლუსკონი დიდ გეგმებს სახავდა. მედიის მაგნატი „სან სიროზე" უკვდავი გუნდის შექმნით გახლდათ დაკავებული და ჰოლანდიელის ვეებერთელა შესაძლებლობებს ნათლად ხედავდა. ვან ბასტენი, გულიტი და რაიკაარდი — ეს გახლდათ მილიონერის ჰოლანდიური ტრიო იტალიური გუნდის გულში.

თუმცა, უტრეხტელი ბიჭისთვის მილანური კარიერა უპრობლემოდ არ დაწყებულა. პირველსავე იტალიურ სეზონში მარჯვენა კოჭმა კინაღამ კარიერა დაასრულებინა. რას არ ჭორაობდნენ მაშინ. იმასაც ამბობდნენ, რომ „შავ-წითლები" ტყუილ ხარჯს აღარ გასწევდნენ და ჰოლანდიელს თავიდან მოიშორებდნენ, მაგრამ ვერ მიართვეს. მილანელები ვან ბასტენს თეთრ გედს უწოდებდნენ და მის გამოჯანმრთელებას ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს.

ახლა, ჰოლანდიელი ფორვარდის იტალიური ტიტულების ჩამოთვლას რომ მივყოთ ხელი, ძალიან შორს წავალთ. თუ გნებავთ ერთი-ორი ვახსენოთ: 1989 წლის ჩემპიონთა თასი, რომლის ფინალში მან ბუქარესტის „სტიაუას" ორი გოლი გაუტანა; 1990 წლის იგივე ჯილდო... თუ გნებავთ 1992 წლის მატჩიც გავიხსენოთ, „გეტებორგს" ოთხი ნაირ-ნაირი რომ გაუტანა. ის თამაში არასდროს ამოვა ფეხბურთის მოყვარულთა გონებიდან.

„მილანში" გატარებულ ექვს სეზონში ვან ბასტენმა 90 გოლი გაიტანა — გემუდარებით, წარმოიდგინეთ იტალიაში 90 გოლის გატანა — იმავდროულად 1988 წელს, ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა, სამჯერ „ფრანს ფუტბოლის" ოქროს ბურთის ლაურეატად აკურთხეს და სხვა.

გახსოვთ ის ფინალი? ევრო 88, ჰოლანდია — სსრკ და ვან ბასტენის გოლი რინატ დასაევის კარში? რუსები დღემდე ამბობენ კარში არ არტყამდაო.

მერე კი... „სამწლიანი ტკივილის შემდეგ ნორმალური ცხოვრება მეწადა. წარმოიდგინეთ, დღეები გადის, კოჭი კი ყოველ წუთს გტკივა. არადა, ვფიქრობ, კარიერის მიწურულს საუკეთესოდ ვთამაშობდი. ვგრძნობდი, რომ ყოველწლიურად ვძლიერდებოდი, მემატებოდა გამოცდილება, ფიზიკური და გონებრივი ძალა. თამაშს ძალიან ახალგაზრდამ დავანებე თავი. არ მტოვებდა შეგრძნება, რომ საუკეთესო წლები ჯერ კიდევ უნდა დამდგომოდა".

მაგრამ ფეხბურთის ღმერთმა სხვანაირად განსაჯა. ვინ იცის, იმ ეპიზოდის გამო, ყმაწვილმა აიაქსელმა თანაგუნდელის არასრულყოფილი პასისგან სრულყოფილი გოლის შექმნა რომ არ მოიწადინა. წინ ფეხბურთელის საუკეთესო წლების მაგივრად გოლფის ხასხასა მოედანი და ჩიტების ჭიკჭიკი აღმოჩნდა. თუმცა:

„ბარსელონაში, „სტიაუასთან" ფინალის წინ, ავტობუსით „კამპ ნოუსკენ" რომ მივდიოდით, ქუჩები ჩვენი 90 ათასი გულშემატკივრით იყო სავსე. ეს ნამდვილად საგანგებო სანახაობა და განცდა იყო".

**პაპუნა ძიდია**



ეს ის გოლია, ვან ბასტენმა რინატ დასაევს რომ გაუტანა

# ჩამოგაჭრით და გაგიგრძელებთ

*ევროპა ჯიბეებს იკერავს. ის დრო წავიდა, კლუბები ფულს ქორწილში ზურგსუკან გადაყრილი „შაბაშებივით" რომ ისროდნენ. ზოგიერთებმა ცარიელი ჯიბეები უკვე გადმოიბრუნეს და ბანკიდან ბანკში კრედიტის ასაღებად დარბიან. იტალიურ ბობოლებსაც კი გაუჭირდათ. სალაროს კარი დროზე თუ არ მიხურეს, შიგ გახვრეტილი შაურიანიც აღარ დარჩება. სერია ა-ს ვეშაპებმა ფინანსურ „კატენაჩოს" მიმართეს. საკითხი ასე დასვეს: ხელფასების შემცირება და პარალელურად კონტრაქტების გახანგრძლივება. ანუ მკაცრი დაცვა და გრძელი პასები. ბევრი ფეხბურთელი ასეთ „ტაქტიკაზე" თანახმაა.*

„პარმას" პრეზიდენტი სტეფანო ტანცი ამ იდეას ტაშით მიესალმა: ამ სეზონში ჯამაგირების განახევრების ხარჯზე ბლომად თანხა დავზოგეთ. სასიამოვნოდ გამაოცა ფეხბურთელებისა და მათი აგენტების საქციელმა. პრანჭვა-გრეხა არავის დაუწყია. ყველა კონტრაქტი კონკრეტულად განვიხილეთ. ვისაც მეტი ხელფასი ჰქონდა, მეტი ჩამოვაჭერით, ვისაც ნაკლები — ნაკლები. „პირველი მერცხალი" გუნდის კაპიტანი საბრი ლამუში იყო, რომელსაც დანარჩენებმაც მიჰბაძეს".

ჯამაგირის შემცირებაზე „მილანის" ზოგი ფეხბურთელიც ყაბულსაა. მაგალითად, პაოლო მალდინიმ ეს ნაბიჯი უკვე გადადგა. მწვრთნელი კარლო ანჩელოტი კი წელიწადში მილიონ 800 ათასი ევროს ნაცვლად, ამიერიდან მილიონ 500 ათასს მიიღებს. ანდრეი შევჩენკომ თავი მოიფხანა, სეზონის ბოლოს მოვიფიქრებო: „რამდენიმე თვის წინ კლუბის ბოსებმა კონტრაქტის გაგრძელება და ჯამაგირის შემცირება შემომთავაზეს. ვთხოვე, ეს საქმე მოგვიანებით გაგვერჩია". შევჩენკოს შემდეგ რიგში ფილიპო ინძაგია და მალე მის საბანკო ანგარიშსაც მიუკაკუნებენ.

თავისი ფეხბურთელების ხელფასებს „ბებერმა ქალბატონმაც" მიაკითხა. „იუვენტუსის" პირველი საძიძნე ალესანდრო დელ პიეროა. კლუბის პრეზიდენტი ლუჩანო მოჯი და აღმასრულებელი დირექტორი ანტონიო ჯიროუდო ფეხბურთელს უკვე ესაუბრნენ და კონტრაქტის გახანგრძლივება 2008 წლამდე შესთავაზეს. იმავდროულად დელ პიეროს ყოველწლიურმა შემოსავალმა 5 მილიონი ევროდან შეიძლება 4 მილიონამდე იკლოს. იგივე საკითხზე სიტყვა ედგარ დავიდსსაც ჩამოუგდეს, მაგრამ ჰოლანდიელმა სათვალეებიდან უკმურად გაიხედა და კბილებიდან უარი გამოსცრა.

ჯამაგირების შემცირება ალბათ არც ისეთი დიდი ტრაგედიაა. ფეხბურთელები ასე თუ ისე დროდადრო პრემიებს მაინც იღებენ, რაც ერთგვარი კომპენსაცია იქნება.

რა თქმა უნდა, ისეთებიც არიან, ვინც პირიქით, ხელფასის მომატებას ითხოვს. მაგალითად, დავიდ ტრეზეგე, რომელიც წელიწადში მილიონ 300 ათასს იღებს ან მაურო კამორანეზი თავისი 500-ათასიანი შემოსავლით.

„რომაში" ამ მხრივ სიწყნარეა. ვინჩენცო მონტელა დათანხმდა, რომ ყოველწლიური 4 მილიონი ევრო გაუნახევრონ, ოღონდ კი „რომაში" დარჩეს. მას მალე ემერსონი და ვალტერ სამუელიც შეუერთდებიან.

რაც შეეხება „ინტერს", აქ მსხვერპლი უკვე ოთხმა ფეხბურთელმა გაიღო — გაბრიელ ბატისტუტამ, ფაბიო კანავაროამ, ფრანჩესკო კოკომ და მატიას ალმეიდამ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ედგარ დავიდსი არაფერს თმობს, მატიას ალმეიდა კი „ინტერის" სურვილს დანებდა


**სამკურნალო გაერთიანება**

**„ლიგა"**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია** ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

*საქართველოს ნაკრები გუშინ 56 წლის ხორვატ მწვრთნელ ივო შუშაკს ჩააბარეს. ეროვნული გუნდი 30 აპრილს თბილისში რუსეთთან და 11 ივნისს დუბლინში ირლანდიასთან სწორედ ამ სპეციალისტის თავკაცობით ითამაშებს. მერე კი, რა როგორ იქნება, ჯერ გაურკვეველია და ამის თაობაზე საუბრისგან ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თავი შეიკავეს*



მერაბ ჟორდანია და ივო შუშაკი

# შუშაკი რევოლუციონერი არ არის

## ხორვატი ქართველების სისხლის ადუღებას აპირებს

— ნაკრები უახლოეს ორ შესარჩევ მატჩს ივო შუშაკის მეთაურობით ჩაატარებს, მერე კი ვნახოთ. შუშაკს თბილისის „დინამოსთან" კონტრაქტი აკავშირებს და ეროვნულ გუნდში მუშაობას გააგრძელებს თუ არა, მხოლოდ ამ ორი თამაშის შედეგზე არ იქნება დამოკიდებული — თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ.

ირლანდიასთან მატჩამდე მთელი ორი თვეა და ვიმედოვნებთ, რომ იქამდე ფეხბურთის ფედერაციაში რამეს მოიფიქრებენ და მწვრთნელად ან შუშაკს დატოვებენ, ანაც მასზე უკეთესს დანიშნავენ.

ახლა კი სწორედ უახლოესი ორი თვის და უახლოეს ორ მატჩთან დაკავშირებული ის ამბები წაიკითხეთ, რაზეც პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და ახალმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ილაპარაკეს.

*მერაბ ჟორდანია:*

— ივო შუშაკთან საბოლოო შეთანხმებას რამდენიმე წუთის წინ მივაღწიეთ. რუსეთთან და ირლანდიასთან მატჩებისთვის ეროვნულ გუნდს სწორედ ეს გამოცდილი ხორვატი მწვრთნელი მოამზადებს. მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და თანადგომისთვის მადლობა მოვახსენო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილსა და თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობას, მათთვის უპირველესი სწორედაც რომ საქართველოს ნაკრების ინტერესებია. მადლობა თავად მწვრთნელს, ჩვენს წინადადებას რომ დათანხმდა. ის აქამდეც ქართული ფეხბურთის სამსახურში იყო და ახლა სამუშაო გაუორმაგდა. ვიმედოვნებ, მისი ხელმძღვანელობით ნაკრები წარმატებით ითამაშებს. ყველამ კარგად იცის, ჩვენთვის დადებითი შედეგი როგორი იქნება, თუმც შუშაკი გააგრძელებს თუ არა ირლანდიის მერეც ნაკრებში მუშაობას, ეს მხოლოდ შედეგებზე არ იქნება დამოკიდებული.

*ივო შუშაკი:*

— მადლობა ფედერაციის პრეზიდენტსა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ნდობა რომ გამომიცხადეს და საქართველოს ნაკრები ჩამაბარეს. რამდენადაც ჩემი ახალი პოსტია მნიშვნელოვანი, იმდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის ჟურნალისტთა თანადგომა. აქამდე გხვდებოდით, როგორც თბილისის „დინამოს" მწვრთნელი, ახლა კი ქვეყნის ნაკრებზეც ვარ პასუხისმგებელი და ფედერაციის პრესსამსახურის დახმარებით, ვიმედოვნებ, ჩვენი ურთიერთობა ისეთივე საქმიანი და თბილი იქნება, როგორც აქამდე. რუსეთთან თამაშამდე ერთმანეთს კიდევ შევხვდებით.

...როცა ნაკრების თავკაცობა შემომთავაზეს, მოსაფიქრებლად დრო არც მქონია. დავთანხმდი ფედერაციის წინადადებას, თუმც იქამდე თბილისის „დინამოს" სპონსორ ბადრი პატარკაციშვილის, კლუბის აღმასრულებელი დირექტორის, გია ფირცხალავასა და მმართველი დირექტორის დავით პეტრიაშვილის თანხმობა მჭირდებოდა. მათგან არანაირი დაბრკოლება არ შემხვედრია.

...დარწმუნებული ვარ, ყველას გაინტერესებთ, როგორ შევუთავსებ ერთმანეთს ნაკრებისა და კლუბის საქმეებს, რაიმე პრობლემა ხომ არ შემექმნება? საერთოდ, მე იმ კატეგორიას მივეკუთვნები, ვინც ერთი საქმის კეთების მომხრეა, მაგრამ ცხოვრებაში არის ხოლმე სპეციფიკური მომენტები. ადამიანის ტვინი ორი ნახევარსფეროსგან შედგება და მე არ დავუშვებ, ჩემი ერთი ნახევარსფერო „დინამოზე" ფიქრობდეს, მეორე — ნაკრებზე. როცა „დინამოსთან" ვიქნები, მთელ ენერგიას და ცოდნას მას მოვახმარ, ასევე ბოლომდე დავიხარჯები ნაკრებთან მუშაობისას. ადრე ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებსა და „ზაგრებსაც" ერთდროულად ვწვრთნიდი. მაშინ ხორვატი ახალგაზრდები პირველად ვათამაშე ევროპის ჩემპიონატზე, „ზაგრებმა" კი ჩემი ხელმძღვანელობით მოსალოდნელზე კარგ შედეგს მიაღწია.

...დრო გვიჩვენებს, რამდენ ხანს დავრჩები ქართულ ფეხბურთში. რუსეთთან და ირლანდიასთან მატჩამდე ნაკრების გაძღოლა ჩემი და ფედერაციის ხელმძღვანელობის ერთობლივი სურვილი იყო. მე ვარ სააგენტო „აკადემიკ კონსალტინგის" წევრი. სწორედ ეს სააგენტო აწარმოებს ჩემს სამუშაოსთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებას. ასე იყო, როცა თბილისის „დინამოში" დავინიშნე და ასე არის ახლაც. სააგენტო დათანხმდა ფედერაციას, რომ ნაკრები ჩამებარებინა. მიუხედავად იმისა, რომ მოსალაპარაკებელი დრო არ იყო.

...მნიშვნელობა არ აქვს, სად და ვისთან თამაშობ, ჩემი გუნდის სტრატეგია მხოლოდ მოგებისკენაა მიმართული, თუმც წინასწარ ძნელია თქმა, მოედანზე რა მოხდება.

...ამჟამად ბევრს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთს გპირდებით: თბილისში, საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ ფავორიტად ვერავინ ჩამოვა.

...საერთოდ, რევოლუციის მომხრე არ ვარ და არც ახლა ვაპირებ ნაკრებში რადიკალურ ცვლილებებს. ჩემთვის გამორჩეული იქნება ლეგიონერი და საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელი, ახალგაზრდა და გამოცდილი, მთავარია, კონკრეტული მატჩისთვის ვინ დასჭირდება გუნდს და ვინ როგორ ფორმაში იქნება. ნაკრებში მხოლოდ საუკეთესონი ითამაშებენ. მე შემიძლია 11 ისეთი ფეხბურთელის შერჩევა, რომლებიც საუკეთესონი არიან და ნაკრებში თამაშისას თავს არ დაზოგავენ. ფეხბურთელს უნდა ესმოდეს რას ნიშნავს ეროვნული გუნდი. უნდა ესმოდეს, რომ ათი საკლუბო მატჩი ერთ სანაკრებო თამაშს უდრის. ვგრძნობ ქართველი ფეხბურთელების პოტენციას და დარწმუნებული ვარ მათ პატრიოტიზმში.

...კონკრეტულ შემადგენლობაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ვიფიქრებ და ცოტა ხანში გამოვაცხადებ იმ ფეხბურთელთა ვინაობას, რომლებსაც რუსეთთან მატჩისთვის გამოვიძახებ. მალხაზ ასათიანზე ჩემებური შეხედულება მაქვს, მან ამას წინათ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელია, თუმც ეს სიტყვები არ ნიშნავს, თითქოს ის ნაკრებში უკვე მოწვეულია.

...ჩემს თანაშემწეებს ჯერ ვერ დაგისახელებთ. ამჟამად კონსულტაციები მიმდინარეობს, ზოგადად კი ყველა ქართველი მწვრთნელის დახმარების იმედი მაქვს.

...ამჟამად თბილისში მარტო ვცხოვრობ და მთელი 24 საათი მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ. ტელევიზიით მხოლოდ ერთ, რუსული საფეხბურთო არხის გადაცემებს ვუცქერ, მაქვს ბევრი ვიდეოფირი. მოკლედ, თბილისში მხოლოდ ფეხბურთით ვარ დაკავებული. რუსეთის ნაკრების ბოლოდროინდელი ყველა მატჩი ნანახი მაქვს, კარგად ვიცი ამ გუნდის შესაძლებლობები, ალბანეთი კი ხუთი თითივით მყავს შესწავლილი, იქაურ ფეხბურთელებს პირადად ვიცნობ, ნაკრების წევრთა უმეტესობა ჩემი შეგირდი იყო.

...ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლატკო მარკოვიჩი ჩემი ბავშვობის მეგობარია. როცა გაიგო საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ვინიშნებოდი, დამირეკა და პირადად მომილოცა. ორი დღეა, ჩემი ტელეფონი სულ დაკავებულია, ხორვატიიდან მილოცვებს ვერ ავუდივარ. იქაურ ჟურნალისტებს ჩემს გარშემო ყველა ინფორმაცია დროულად მიაქვთ საზოგადოებამდე.

...დღეს სხვას ვერაფერს გეტყვით. დანარჩენი მერე იყოს, გმადლობთ.

საქართველოს ნაკრებში ახლა მეორე უცხოელის, ხორვატი ივო შუშაკის დროა.

**კობა ინასარიძე**

# შუშაკამდე

### გიგა ნორაკიძე

1990 წლის 27 მაისს ***გივი ნოდიას*** და ***ოთარ გაბელიას*** ხელმძღვანელობით საქართველომ ლიტვასთან 2:2 ითამაშა, ერთი წლის შემდეგ, 2 ივნისს შინდისფერებმა მოლდოვას სძლიეს სტუმრად 4:2, ნაკრებს მაშინ გიგა ნორაკიძე წვრთნიდა, თუმც ეს ორი მატჩი ფიფას რეესტრში არ არის შეტანილი, ამიტომ სანაკრებო მატჩების ათვლა 1992 წლის 2 სექტემბრიდან იწყება, ნორაკიძის გუნდმა იმ დღეს ამხანაგურ მატჩში 0:1 წააგო სტუმრად ლიტვასთან.



02.09.1992–22.12.1992

**თ: 3 მ: 1 ფ: 0 წ: 2 ბ: 6:5**

### ალექსანდრე ჩივაძე



25.05.1993–27.09.1996

**24 9 1 14 25:35**

15.07.2001–02.04.2003

**11 4 3 4 18:16**

ჩივაძემ ორეტაპიანი სანაკრებო საქმიანობისას მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევის 18 მატჩში უთავკაცა ნაკრებს. 1993-96 წლებში ჩივაძემ 12 ოფიციალურ მატჩში 5-ჯერ მოაგებინა გუნდს და 7-ჯერ დამარცხდა. ამათში ბოლო ორი მარცხი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის გახლდათ. 2001-2003 წლებში ჩივაძეს ექვსი ოფიციალური მატჩი დაუგროვდა. 2 მოგება, 2 ფრე და 2 წაგება. ჩივაძის პირვანდელი სანაკრებო კარიერის დასრულებისას ლიბანთან ორჯერ ათამაშა შინდისფერები ვლადიმერ გუცაევმა.

### დავით ყიფიანი

ერთპიროვნული სანაკრებო კარიერისას დავით ყიფიანი მხოლოდ ერთ ამხანაგურ მატჩში გაუძღვა გუნდს. სომხეთთან 7:0 მოგებას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ექვსი შეხვედრა მოჰყვა. უკვე უმოტივაციოდ დარჩენილმა ნაკრებმა შინ პოლონეთს და ორჯერ მოლდოვას სძლია, თითოჯერ სტუმრად პოლონეთთან და ინგლისთან დამარცხდა და ფრედ ითამაშა იტალიასთან.



30.03.1997–11.10.1997

**7 4 1 2 14:6**

### ვლადიმერ გუცაევი



06.02.1998–28.04.1999

**13 5 3 5 16:19**

გუცაევის ნაკრებში მწვრთნელობისას ერთხელ ახალგაზრდული ნაკრების ბაზაზე „გაეროვნებულ" გუნდს აზერბაიჯანთან საგარეო ამხანაგურ მატჩში ***გიგლა იმნაძემ*** უხელმძღვანელა. იმ შეხვედრაში ქართველები 0:1 დამარცხდნენ. მანამდე და ამის შემდეგ გუცაევის გუნდმა 13 მატჩში 5 მოგებას მოუყარა თავი, აქედან სამჯერ მალტის ტურნირზე იმარჯვეს ქართველებმა. ერთხელ კი ამხანაგურად ესტონეთი დაამარცხეს. სანაკრებო კარიერისას ვლადიმერ გუცაევმა ერთადერთი ოფიციალური თამაშის მოგება შეძლო — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სადებიუტო საშინაო შეხვედრაში ალბანეთთან მასპინძლებმა 1:0 გაიმარჯვეს.

### იოჰან ბოსკამპი

ეროვნული გუნდის პირველი უცხოელი და ყველაზე პარადოქსული მწვრთნელი. ჰოლანდიელის ხელში ნაკრები ურიგოდ არ თამაშობდა, მაგრამ მაინც აგებდა. ბოსკამპი ერთადერთია საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგან, მოგება რომ არ უნახავს. ჰოლანდიელმა ხუთთვიანი საქმიანობისას ხუთ მატჩში უხელმძღვანელა ეროვნულ გუნდს და ხუთივე შეხვედრა ოფიციალური იყო.



30.05.1999–09.10.1999

**5 0 1 4 5:9**

### დავით ყიფიანი – რევაზ ძოძუაშვილი



ორხელისუფლებიანობისას ნაკრებმა მხოლოდ ხუთი ოფიციალური მატჩი ჩაატარა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მწვრთნელთა ტანდემმა მხოლოდ ერთი მოგება შეძლო, ოთხი წაგებულის სანაცვლოდ. ქართველებმა ერთადერთხელ ლიტვას სძლიეს 4:0. ყიფიან-ძოძუაშვილის მწვრთნელობა გამორჩეული იყო ამხანაგურ მატჩთა სიუხვით. 11 ასეთ შეხვედრაში ქართველებმა მხოლოდ სამჯერ იმარჯვეს, სომხეთთან, ისრაელთან და აზერბაიჯანთან.

02.02.2000–06.06.2001

**16 4 5 7 15:20**

*მალხაზ ასათიანი ქართული ფეხბურთის ახალი იმედია.*

*ქუთაისელი ფეხბურთელი, რომელიც ხმაურიანი ტრანსფერით გადაბარგდა მოსკოვის „ლოკომოტივში", ახლა დიდი ფეხბურთის გზას ადგას და თავის ცხოვრებასა და საქმიანობასაც ინესრიგებს.*

*ლამის ორი სეზონია, 21 წლის მალხაზ ასათიანს ხეირიანად არ უვარჯიშია და ახლა კი პირდაპირ საქმეში ჩაერთო მოსკოვურ კლუბში.*

*ასათიანი მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება ჩვენი ფეხბურთისთვის. გამორიცხული სულაც არ არის, რომ ივო შუშაკმა ის ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახოს. ეს კი ნიშნავს, რომ ამომავალი ვარსკვლავის წინაშე ახალი პერსპექტივა იშლება. ჩვენს ფეხბურთსაც ჰაერივით სჭირდება ასათიანის ნიჭის მოთამაშე, მას კი განუწყვეტელი ზრდა და მოლონიერება სჭირდება, რათა დიდი ფეხბურთი ითამაშოს.*

*გუშინ, იაროსლავლის „შინიკთან" მატჩის მეორე დღეს, „ლოკომოტივს" დასვენება ჰქონდა და ჩვენც მალხაზ ასათიანი რამდენიმე წუთით მოვიხელთეთ*



# მალხაზ ასათიანი მატარებლის კიბეზე დგომას არ აპირებს

## სიომინის ქართველი ნაკრებამდე ლოკომოტივში დებიუტს ელის

**— იური სიომინმა „შინიკთან" მატჩის განაცხადში შეგიყვანა, მაგრამ რუსულ პრემიერლიგაში თამაშმა ჯერ არ მოგიწია...**

— კი, ჯერ ასეა, მაგრამ იმედი მაქვს, ეს დროც არაა შორს.

**— ახალგაზრდული ნაკრებიდან მოსკოვში დაბრუნებულს „ლოკომოტივის" თავკაცთან ხომ არ გისაუბრია?**

— არა, ჩვეულებრივად გუნდთან ერთად ვივარჯიშე და მერე მითხრეს, რომ სარეზერვოებში არ ვითამაშებდი, რადგან ძირითად გუნდს უნდა გავყოლოდი იაროსლავლში. სხვა არაფერზე გვილაპარაკია.

**— შენი აზრი ახალგაზრდულ ნაკრებსა და ირლანდია-შვეიცარიასთან მატჩებზე...**

— გულშემატკივრებმა ალბათ დაინახეს პერსპექტივა. მთლად ურიგოდ არ გვითამაშია, თუმცა მხოლოდ ქულის აღება შევძელით ამ ორ თამაშში. განსაკუთრებით ირლანდიასთან დაკარგულ ქულებზე მწყდება გული. აშკარად მოსაგები თამაში იყო. მეტი ყურადღება და მობილიზებაა საჭირო, დღევანდელ ფეხბურთში მოდუნებას არავინ გაპატიებს.

**— უკვე ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ შენ ახალგაზრდული ნაკრებისთვის „გადაიზარდე" და დროა, ეროვნულში მიგიწვიონ...**

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა. ახლა ჩემთვის „ლოკომოტივის" ძირითადში თამაშია მთავარი. მერე ალბათ ყველაფერი თავისთავად მოვა.

**— საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად ივო შუშაკი დაინიშნა. ცნობილი ამბავია: იგი შენ განსაკუთრებული სიმპათიით გიყურებს...**

— რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნები, თუ ნაკრებში მიმიწვევენ, მაგრამ, აკი ვთქვი, ჯერ კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვი. თუ „ლოკომოტივში" არ ვითამაშე, შესაძლოა, არც გამომიძახონ. ამიტომაც მონდომებით ვვარჯიშობ და ძალიან მინდა, მალე დებიუტი მქონდეს.

**— ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობ?**

— აბა, რას ვშვები?! სარეზერვოებში მხოლოდ ორი მატჩი ჩავატარე. საერთოდ კი ძირითად შემადგენლობასთან ვარ. ვნახოთ, რა იქნება. შანსს ველი და იმედი მაქვს, მალე თამაშიც მელირსება.

**ქახა შალამბერიძე**

# მზრაული უსტარი და ქართული დასტური

## დაგვენაცვლე, შენთან ვითამაშოთ...

# ისრაელმა საქართველო საქართველოში დაპატიჟა

**გუშინ** ფეხბურთის ფედერაციაში ისრაელიდან უსტარი მოვიდა, ამხანაგურად ვითამაშოთო. ეროვნული გუნდისთვის სპარინგ-მატჩების მძებნელმა ფედერაციამ ებრაელთა თხოვნა სიამოვნებით მიიღო და ალთქმული მიწის შვილებს დასტური შეუთვალა, 19 ან 20 აგვისტოს თბილისში საქართველოს და ისრაელის ეროვნული გუნდები კიდევ ერთხელ გავაჯიბროთო.

ეს ებრაელთა მიერ ფეხბურთის ფედერაციაში ამ დღეებში გამოგზავნილი მეორე ფაქსია, ისრაელმა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნითი საშინაო მატჩების თბილისში გამართვა რომ ისურვა, ამაზე უკვე დაიწერა. მოგეხსენებათ, ფიფამ საერთაშორისო მატჩების შინ ჩატარება ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო აუკრძალა ებრაელებს და ისინიც ხიზნობენ: კვიპროსი, პალერმო... ახლა თბილისი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ებრაელებს თხოვნა-ვარიანტზე თანხმობა განუცხადა, სლოვენიას და მალტას თბილისში ეთამაშეთო, თუმც ჯერჯერობით მათი პასუხი უცნობია.

საქართველოს და ისრაელის ეროვნული გუნდები აქამდე სულ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. პირველი 1994 წლის 23 თებერვალს იყო რამატ-განში. „რამატ განის" გადაჭედილ 40-ათასიან სტადიონზე ებრაელებმა საკმაოდ იოლად 2:0 დაამარცხეს ალექსანდრე ჩივაძის შეგირდები. მეორედაც სტუმრად, თელ ავივში, 2000 წლის 28 მარტს ეთამაშნენ ქართველნი ისრაელთ. მაშინ მასპინძელთა გუნდს დანიელი რიქარდ მიოლერნილსენი წვრთნიდა. ქართველებთან მატჩამდე ერთი კვირით ადრე მისმა დამოძღვრილმა ბიჭებმა რუსებს 4:1 ბდღვირი ადინეს და დიდ გულზე მოვიდნენ, ქართველებს ხომ საერთოდ მოვსრავთო, ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, გიო ქინქლაძის გოლით მატჩის დამთავრებამდე ათიოდ წუთით ადრე ვიგებდით, მაგრამ... მოკლედ, ის შეხვედრა 1:1 მორჩა.

ერთი წლის შემდეგ, 24 აპრილს, „ეროვნულზე" ავილეთ რევანში, ქეცბაიას ორი და არჩილ არველაძის მიერ გატანილი გოლებით საქართველოს ნაკრებმა როგორც იქნა, დაამარცხა ისრაელი 3:2.

ერთი სიტყვით, საფეხბურთო საქართველო და ისრაელი ბოლო ერთ კვირაში ძალიან დაუმეგობრდნენ ერთმანეთს.

**გიორგი მეშაძიძე**

# იური გაბისკირიას ახალგაზრდობის რეცეპტი

## ორი ჭიქა შავი ღვინო და ბევრი ბურთი

*ბოლნისური „სიონის" ვეტერან ნახევარმცველ იური გაბისკირიას ცხრამეტწლიანი საფეხბურთო გამოცდილება უმაგრებს ზურგს. ამ ხნის მანძილზე თხუთმეტი საკლუბო მაისურა მოურგია და ყველგან გამორჩეული იყო.*

*ის დღესაც საუკეთესოა თავის გუნდში. თამაშისას დაღლას არ დაიტყობს და მიუხედავად წელთა სიმრავლისა, პატარა ბიჭივით გამოიყურება.*

*— იური, რამდენი წლის ხარ? ორაზროვნად ვკითხეთ რედაქციაში ნასტუმრებ გაბისკირიას, სანამ მასთან ინტერვიუს დავიწყებდით. ვალში არც ის დაგვრჩენია, საბუთებით ოცდათერთმეტს მივუკაკუნე, თავს კი 25 წლის ახალგაზრდად მივიჩნევო, დაუფიქრებლად გვიპასუხა.*

*ჩვენ კი გაბისკირია უფრო „ჭარმაგი" გვგონია, თუმც მოედანზე მისი სიბეჯითე და 90 წუთის მანძილზე დაუღალავი თამაში მართლაც საკვირველია*

**— ხნოვანების მიუხედავად, დღემდე ბევრისთვის შესაშურად გამოიყურები. იქნებ ფორმის შენარჩუნების შენეული მეთოდი გაგვიმხილო?**

— განსაკუთრებული არაფერი მიკეთებია. არ ვეწევი, არც სასმელს ვეტანები, ზოგჯერ თამაშის შემდეგ თითო-ოროლა ჭიქა შავ ღვინოს ან შამპანურს გეახლებით. ვიკვებები ზომიერად და ვცდილობ, მუდამ კალორიული რაციონი შევადგინო. რაც მთავარია, დღესაც თავდაუზოგავად ვვარჯიშობ, მეტად ვიტვირთავ თავს, ვიდრე ახალგაზრდობისას. დილით „სიონის" ვარჯიში რომ დასრულდება, სალამომდე ვისვენებ, მერე კი დიღომში „ლოკომოტივის" ბაზაზე შვილისტოლა ბავშვებში გავერევი და იქ დავდევ ბურთს. მთელი ჩემი საიდუმლოც ეგ არის.

**— ცხრამეტწლიან კარიერაში ყველაზე მეტად რაზე გწყდება გული?**

— სოხუმის „ცხუმზე" და ეროვნულ ნაკრებზე. იმდროინდელი „ცხუმი" ყველასგან გამორჩეული გუნდი იყო. რომ არა მაშინდელი დრო, ჩვენი გუნდი ბევრს მიაღწევდა. ეროვნულ ნაკრებში კი ჩემი ერთადერთი მატჩი აზერბაიჯანში ვითამაშე. ერთი უპასუხო ბურთით დავმარცხდით და მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ გამიხსენეს, მაშინ, როცა ტრავმირებული ვიყავი და სანაკრებოდ ვერ ჩამოვედი. დღემდე არ სჯერათ, რომ თამაში არ შემეძლო, არადა, როგორ მინდოდა...

**— 1999 წლიდან უცხოურ კლუბებში თამაშობდი. შენი საქართველოში დაბრუნება ბევრისთვის მოულოდნელი იყო.**

— აქ თამაშს არც მე ვაპირებდი. ჩემი ბოლო უცხოური კლუბი, ნალჩიკის „სპარტაკი" დიდ საკომპენსაციო თანხას ითხოვდა, მეც დროებით შინ ჩამოსვლა ვარჩიე და მეორე სეზონია, „სიონს" შემოვრჩი.

**— უცხოეთში თამაშს კიდევ აპირებ?**

— რატომაც არა, თავს საუცხოოდ ვგრძნობ და შემიძლია, ორი-სამი წელი საშუალო დონეზე კიდევ ვიბურთავო. ვნახოთ, თუ ბოლნისში დღევანდელი გუნდი და პირობები შეინარჩუნეს, იქნებ წასვლაზე არც ვიფიქრო.

**— „სიონმა" უკვე ჩემპიონობის ორი მაძიებელი — „ლოკომოტივი" და „ტორპედო" დაამარცხა. როგორ ფიქრობ, რისი წყალობით?**

— ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. კლუბის პრეზიდენტი, რაიონის გამგებელი, მწვრთნელი და ფეხბურთელები, „სიონის" თავგადაკლული ქომაგები ერთნი არიან. შეკრული გუნდი ვართ, მოედანზე და მის გარეთაც ერთმანეთს მხარში ვუდგავართ და ეს თამაშსაც ეტყობა.

**— 15 გუნდში გითამაშია და, სულ მცირე, ამდენივე მწვრთნელის ხელში გაგივლია. მათგან საუკეთესოდ რომელს მიიჩნევ?**

— ცხონებულ გიგა ნორაკიძეს, რომელიც უპირველესად ჩინებული პედაგოგი და ფსიქოლოგი იყო. რამდენი თამაშიც მის ხელში მოგვიგია, ყველას ჩვენს დამსახურებას მიაწერდა, ხოლო წაგებისას მხოლოდ თვითონ იდანაშაულებდა თავს. საფეხბურთო წვრილმანებშიც ზედმიწევნით ერკვეოდა. მისი დარიგებების შემდეგ თამაში მიადვილდებოდა.

**— როგორ გგონია, კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელების მოწვევა ქართულ ფეხბურთს სასიკეთოდ არ წაადგება?**

— რა თქმა უნდა, წაადგება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმც ერთი რამაა გასათვალისწინებელი: ვთქვათ, ჩამოვიყვანეთ უცხოელი, რას ვთავაზობთ მას, რა პირობებს ვუქმნით? სხვისი არ ვიცი, მაგრამ „სიონისა" მაინც კარგად მომეხსენება. გუნდი დიდუბეში, მანეჟში ვარჯიშობს, სირბილი, კვადრატი და თუ მოხერხდა, იქვე წავიბურთავებთ. არც ერთი უცხოელი ამ პირობებს არ დაყაბულდება. ის კი არა, მიკვირს, როგორ აღწევს თემურ მახარაძე ამ შედეგს. ქართული კლუბების უმრავლესობა უარეს თუ არა, მსგავს დღეშია. ამიტომაც იმის მომხრე ვარ, რომ ჩვენი მწვრთნელები მიავლინონ ევროპულ კლუბებში, იქ რაღაცას მაინც აითვისებენ...

**— რას უსურვებს იური გაბისკირია ახალგაზრდა კოლეგებს?**

— ქართველებს საფეხბურთო ნიჭიერება არასდროს მოაკლდებათ, მაგრამ მისი სრულყოფა მხოლოდ დაუზარელი შრომით შეიძლება. მხართეძოზე წამოწოლილი ვერაფერს მიაღწევ. მესმის, რომ ქვეყანაში თითქმის აუტანელი ვითარებაა, არ არის სავარაჯიშო პირობები, ზოგჯერ არც სამყოფი საჭმელი, მაგრამ ხელის ჩაქნევა და უიმედობაც დამღუპველია. დანგრევა ერთ წუთში შეიძლება, შენებას კი წლები სჭირდება. შეხედეთ კახა კალაძეს, ლევან კობიაშვილს, სხვა ქართველ ლეგიონერებს. ის ბიჭები სწორედ აქ დაოსტატდნენ მაშინ, როცა ქვეყანაში მთლად წამხდარი დროება იყო. ესე იგი, გაჭირვებაშიც შესაძლებელია სრულყოფა.

ჩემს ახალგაზრდა თანაგუნდელებსაც ამას ჩავჩიჩინებ. ისინი თემურ მახარაძეს, ფირუზ რეხვიაშვილს და გიორგი ყიფშიძეს ვერაფერს გამოაპარებენ. მათ ხელში უამრავ ახალგაზრდას გაუვლია და იციან, თითოეული რას ფიქრობს. თუ ვინმეს რამეს დააკლებენ, უპირველესად საკუთარ თავს. კარიერა კი ხანმოკლეა, ისე გაგიფრინდება, თვალს ვერ დაახამხამებ.

**მამუკა ძვანტალიანი**



იური გაბისკირია (მარჯვნივ) მოედანზე მუდამ მებრძოლია

სარბიელი & კროკო
წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 002 | არმინია-მიუნხენი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.30 | 003 | ბაიერნი-ვერდერი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 004 | ბაიერნი-ვერდერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.30 | 005 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-ბოხუმი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 007 | ჰერტა-ბოხუმი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2.45 | | | |
| 18.30 | 008 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 009 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 010 | შალკე-კოტბუსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 011 | შალკე-კოტბუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 012 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 013 | ალემანია-ბრაუნშვაიგი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 22.00 | 014 | ბურგჰაუზენი-ვალდჰოფი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 22.00 | 015 | კარლსრუე-მაინცი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 016 | დუისბურგი-უნიონი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 18.00 | 017 | აინტრახტი-ლიუბეკი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 018 | აინტრახტი-ლიუბეკი 0:1 | 2.05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 18.00 | 019 | ფრაიბურგი-სტ.პაული | 1.35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1.15 | 2,75 |
| | 020 | ფრაიბურგი-სტ.პაული 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 18.00 | 021 | ფიურტი-როიტლინგენი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 18.00 | 022 | ალენი-ტრირი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 23.15 | 023 | კიოლნი-ობერჰაუზენი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 024 | კიოლნი-ობერჰაუზენი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 025 | დორტმუნდი(მ)-დინამო | 2.0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXVI ტური** | | | | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 026 | კილი-ესენი | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 027 | ურდინგენი-ვერდერი(მ) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1.4 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 028 | დორტმუნდი(მ)-მიუნსტერი | 1.6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 17.00 | 029 | აუე-ქემნიცი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 17.00 | 030 | პადერბორნი-კიოლნი(მ) | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1.17 | 1,26 | 1,77 |
| 17.00 | 031 | ლევერკუზენი(მ)-დინამო | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 17.00 | 032 | ოსნაბრიუკი-ბაბელსბერგი | 1,45 | 4,0 | 6.5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 033 | ჰამბურგი(მ)-ვერლი | 2.35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXIX ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 034 | ელვერსბერგი-შვაინფურტი | 1.95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 22.30 | 035 | კიკერსი-ერფურტი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1.29 | 1,39 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 036 | აინტრახტი(მ)-ფულენდორფი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 17.30 | 037 | რეგენსბურგი-ოფენბახი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 17.30 | 038 | დარმშტადტი-აუგსბურგი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 17.30 | 039 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.30 | 040 | ზიგენი-ზაარბრიუკენი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 041 | კაიზერსლაუტერნი(მ)-ვეენი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 042 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 19.00 | 043 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 19.00 | 044 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,85 | 3.2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 045 | ჩელსი-ბოლტონი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1.2 | 2.46 |
| | 046 | ჩელსი-ბოლტონი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 047 | ლიდსი-ტოტენჰემი | 2.2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 19.00 | 048 | ლივერპული-ფულემი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 049 | ლივერპული-ფულემი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 050 | სიტი-მიდლსბრო | 1,9 | 3,3 | 3.6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.00 | 051 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 19.00 | 052 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 057 | სტოკი-როტერჰემი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 088 | როჩდეილი-როვერსი | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |
| | | **იტალია. სერია "A". XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 105 | კომო-პერუჯა | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.30 | 106 | ინტერი-მილანი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 107 | ატალანტა-რეჯინა | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 18.00 | 108 | ემპოლი-კიევო | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 18.00 | 109 | მოდენა-ლაციო | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 18.00 | 110 | რომა-პარმა | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 18.00 | 111 | ტორინო-პიაჩენცა | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| 18.00 | 112 | უდინეზე-ბრეშა | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 23.30 | 113 | ბოლონია-იუვენტუსი | 3,6 | 3,0 | 2,05 | 1,63 | 1,3 | 1.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 151 | სევილია-ვილიარეალი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 00.30 | 152 | ბარსელონა-დეპორტივო | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1.54 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 15.00 | 153 | უელვა-ალავესი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 20.00 | 154 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 155 | მალიორკა-რასინგი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 21.00 | 156 | სელტა-ბეტისი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 157 | რაიო-ბილბაო | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 21.00 | 158 | სოსიედადი-რეალი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 21.00 | 159 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1.85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.30 | 160 | ვალენსია-ოსასუნა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2.46 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 161 | ტერასა-ოვიედო | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 21.30 | 162 | ელჩე-ტენერიფე | 2.6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,39 |
| 23.30 | 163 | ლას პალმასი-ეხიდო | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 15.00 | 164 | სერესი-მურსია | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,39 |
| 15.00 | 165 | ლეგანესი-კორდობა | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1.18 | 1,37 | 1,61 |
| 21.00 | 166 | ალბასეტე-სალამანკა | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 21.00 | 167 | ბადახოსი-კომპოსტელა | 2,2 | 2,8 | 3,5 | 1,23 | 1,35 | 1,55 |
| 21.00 | 168 | ეიბარი-ხეტაფე | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| 21.00 | 169 | სპორტინგი-ლევანტე | 2.7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| 21.00 | 170 | ალმერია-სარაგოსა | 2,9 | 2,8 | 2,5 | 1,42 | 1,34 | 1,32 |
| 21.00 | 171 | ნუმანსია-ფეროლი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 173 | ბორდო-ლიონი | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.15 | 174 | ტრუა-მარსელი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |
| 23.00 | 175 | ნიცა-ოსერი | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| 23.00 | 176 | გენგამი-ბასტია | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 177 | პსჟ-ლანსი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1.12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 178 | აიაჩო-მონაკო | 3.0 | 2,9 | 2,4 | 1,47 | 1.33 | 1,31 |
| 23.00 | 179 | სტრასბური-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 23.00 | 180 | ლე ავრი-რენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 181 | ლილი-სედანი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 182 | მონპელიე-სოშო | 2,45 | 2,9 | 2,9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 183 | ნანსი-ისტრი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 184 | ამიენი-გენიონი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1.16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 185 | ბოვე-ლე მანი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.00 | 186 | კაენი-ვასკეალი | 1.8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.00 | 187 | კლერმონი-ტულუზი | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |
| 23.00 | 188 | კრეტეი-სტ.ეტიენი | 2,15 | 2,7 | 3,8 | 1,19 | 1,37 | 1,57 |
| 23.00 | 189 | გრენობლი-რეიმსი | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 23.00 | 190 | ვალანსი-ნიორი | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 23.00 | 191 | შატორუ-მეცი | 2,2 | 2,9 | 3,2 | 1,25 | 1,3 | 1,52 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 192 | ლავალი-ლორიანი | 2,15 | 3,0 | 3,4 | 1,25 | 1,31 | 1,59 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 193 | უტრეხტი-ტილბურგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 194 | როდა-პსვ | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1.72 | 1,24 | 1,2 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 195 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 196 | ფეიენოორდი-ვიტესი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 22.30 | 197 | ჰერენვენი-ნაიმეგენი | 1.85 | 3,3 | 4,0 | 1,18 | 1,26 | 1,8 |
| 23.00 | 198 | ალკმაარი-ზვოლე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1.2 | 2,32 |
| 23.00 | 199 | ტვენტე-გრააფსხაპი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 200 | ბრედა-აიაქსი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 17.30 | 201 | გრონინგენი-ექსელსიორი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.30 | 202 | ვალვაიკი-როსენდალი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XXVII ტური. 11 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 203 | ჰაარლემი-ვენლო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 204 | კამბური-ტელსტარი | 1.75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 23.00 | 205 | ემენი-სიტარდი | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 23.00 | 206 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.00 | 207 | იგლსი-დორდრეხტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 208 | იგლსი-დორდრეხტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 209 | ჰელმონდი-მაასტრიხტი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 210 | ჰელმონდი-მაასტრიხტი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.00 | 211 | ოსი-დენ ჰააგი | 4,2 | 3,6 | 1,7 | 1,93 | 1,21 | 1,15 |
| 23.00 | 212 | ჰერაკლესი-სპარტა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.00 | 213 | ვეენდამი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,4 | 2,3 | 1,5 | 1,24 | 1,37 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 214 | სტ.ტრუიდენი-ლუვენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.30 | 215 | ბრიუგე-ვესტერლო | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| | 216 | ბრიუგე-ვესტერლო 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 23.30 | 217 | ბეერსხოტი-გენკი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 218 | ბევერენი-ლიერსი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 219 | შარლერუა-გენტი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 220 | მუსკრონი-ანტვერპენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.00 | 221 | ანდერლეხტი-სტანდარდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 222 | ჰეუსდენი-გეელი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 223 | ვირტონი-ლიერსე | 2,25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1,54 |
| 23.00 | 224 | პატრო-რონსე | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 23.00 | 225 | დაინცე-დენდერლეუ | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 23.00 | 226 | რუზელარე-ეუპენი | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 23.00 | 227 | სტრომბეკი-ვარეგემი | 2,2 | 3,0 | 3,3 | 1,26 | 1,32 | 1,57 |
| 23.00 | 228 | სერკლი-ტინენი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 229 | სერკლი-ტინენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 230 | ვეტერენი-ინგელმუნსტერი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 18.00 | 231 | ვიგორი-დესელი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| | | **საბერძნეთი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 232 | პაოკ-არისი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |
| 20.00 | 233 | აეკ-ირაკლისი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 234 | აეკ-ირაკლისი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.00 | 235 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 236 | პანათინაიკოსი-ქსანთი 0:1 | 1,7 | 3,1 | 3,3 | | | |
| 20.00 | 237 | პროდეფტიკი-იონიკოსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 238 | იანინა-კალითეა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 20.00 | 239 | ეგალეო-ოფი | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 20.00 | 240 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| | | **ჩეხეთი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 17.25 | 241 | სპარტა-სლავია | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 242 | ბოჰემიანსი-ბლშანი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.30 | 243 | იაბლონეცი-ჰ. კრალოვე | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.30 | 244 | სიგმა-ზლინი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 19.30 | 245 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 19.30 | 246 | ტეპლიცე-ბრნო | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.30 | 247 | სინოტი-ბანიკი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 19.40 | 248 | პრჟიბრამი-ჟიჟკოვი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **პოლონეთი. XX ტური** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 250 | პოლონია-გარბარნია | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 19.00 | 251 | ოდრა-ზაგლებე | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 21.00 | 252 | ოსტროვეცი-გროცლინი | 4,4 | 3,3 | 1,65 | 1,88 | 1,2 | 1,1 |
| 21.00 | 253 | პლოცკი-ლეხი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 254 | ამიკა-ვიძევი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 21.30 | 255 | ვისლა-ლეგია | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| | | **თურქეთი. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 267 | გალათასარაი-ალთაი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 268 | გალათასარაი-ალთაი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 269 | გიოზთეპე-დიარბაქირი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 270 | გაზიანთეპი-ბურსა | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 18.30 | 271 | დენიზლი-სამსუნი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 272 | მალათია-ბეშიქთაში | 3,4 | 3,2 | 1,95 | 1,64 | 1,23 | 1,21 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 16.30 | 273 | ანკარაგუჯუ-ქოჯაელი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 16.30 | 274 | ელაზიგი-ადანა | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 16.30 | 275 | ტრაბზონი-ისტანბული | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 21.00 | 276 | ფენერბაჩე-გენჩლერბირლიგი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 277 | აბერდინი-დანფერმლაინი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 278 | ჰიბერნიანი-ლივინგსტონი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 279 | მაზერველი-დანდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 280 | პარტიკი-ჰარტსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 281 | სელტიკი-კილმარნოკი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 282 | სელტიკი-კილმარნოკი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 19.00 | 283 | დანდი იუნაიტედი-რეინჯერსი | 11,0 | 5,6 | 1,25 | 3,71 | 1,12 | 1,02 |
| | | **დანია. XXII ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 306 | ოდენსე-ბრიონდბიუ | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.00 | 307 | ვიბორგი-სილკებორგი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 18.00 | 308 | ოლბორგი-ფარუმი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.00 | 309 | აკადემისკი-კოგე | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 18.00 | 310 | ორჰუსი-მიდტიულანდი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 20.35 | 311 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **ავსტრია. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 312 | ბრეგენცი-კერნტენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 18.30 | 313 | პაშინგი-გრაცერი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 18.30 | 314 | რაპიდი-ზალცბურგი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 18.30 | 315 | შტურმი-რიდი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 316 | ადმირა-ავსტრია | 3,5 | 3,4 | 1,9 | 1,72 | 1,23 | 1,21 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. VI ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 317 | ბაზელი-ვილი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 318 | ბაზელი-ვილი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.30 | 319 | ქსამაქსი-თუნი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 19.15 | 320 | გრასჰოპერი-სერვეტი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 321 | გრასჰოპერი-სერვეტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 19.15 | 322 | იანგ ბოისი-ციურიხი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. VI ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 323 | სტ.გალენი-დელემონი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 20.30 | 324 | აარაუ-კრიენსი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 325 | სიონი-ვადუცი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. VI ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 20.30 | 326 | ლოზანა-ბადენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | [illegible] | 1,67 |
| 20.30 | 327 | ვოლენი-შაფჰაუზენი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 20.30 | 328 | ვინტერთური-კონკორდია | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 22.30 | 329 | ბელინცონა-ივერდონი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **ნორვეგია. I ტური** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 351 | როზენბორგი-ვოლერენგა | 1,4 | 4,2 | 7,0 | 1,04 | 1,16 | 2.62 |
| | 352 | როზენბორგი-ვოლერენგა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 353 | ოლესუნდი-ტრომსო | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1.38 | 1,23 | 1,47 |
| 21.00 | 354 | ვაიკინგი-ბრანი | 1,55 | 3,8 | 5.3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 21.00 | 355 | სოგნდალი-სტაბეკი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 21.00 | 356 | ოდ გრენლანდი-მოლდე | 2.45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 21.00 | 357 | ლილესტრომი-ბოდიო გლიმტი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 358 | ლინი-ბრანი | 1,8 | 3,6 | 3,5 | 1,19 | 1,18 | 1,77 |
| | | **ინგლისი. თასი. ½ ფინალი (ნეიტრალურზე)** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 17.30 | 359 | არსენალი-შეფილდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 20.30 | 360 | უოტფორდი-საუთჰემპტონი | 5,0 | 3,4 | 1.65 | 2.02 | 1,24 | 1.11 |
| | | **პორტუგალია. თასი. ½ ფინალი** | | | | | | |
| | | **13 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 361 | ლეირია-ფერეირა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1.88 |
| | | **14 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 362 | პორტუ-ნავალი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **საბერძნეთი. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 363 | ეგალეო-არისი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1.39 |
| | | **ჩეხეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 19.00 | 364 | იაბლონეცი-ბრნო | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.30 | 365 | ვიტკოვიცე-ბანიკი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.30 | 366 | სპარტა-ბუდეიოვიცე | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 19.30 | 367 | პრახატიცე-პრჟიბრამი | 6,0 | 4,2 | 1,45 | 2,47 | 1,16 | 1,07 |
| 19.30 | 368 | ოლომოუცი-სლავია | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 22.00 | 369 | ლიბერეცი-ზლინი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 370 | ხომუტოვი-ჟიჟკოვი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 19.30 | 371 | ტეპლიცე-სიგმა | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **თურქეთი. თასი. ½ ფინალი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 372 | რიზე-გენჩლერბირლიგი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 22.00 | 373 | მალათია-ტრაბზონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **შოტლანდია. თასი. V ეტაპი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 374 | დანდი-ფოლკირკი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.45 | 375 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1.15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4.19 |
| | | **დანია. თასი. ¼ ფინალი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 376 | ვიბორგი-ფარუმი | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 22.00 | 377 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1.59 |
| 22.00 | 378 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 22.00 | 379 | ნესტვედი-ოლბორგი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| | | **ავსტრია. თასი. ¼ ფინალი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 22.15 | 383 | მატერსბურგი-გრაცერი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. ¼ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 386 | ინტერი-ვალენსია | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.45 | 387 | იუვენტუსი-ბარსელონა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **უეფას თასი. ½ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 00.05 | 388 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 01.00 | 389 | პორტუ-ლაციო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 03.30 | 394 | რასინგი-ნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 04.40 | 395 | სტრონგესტი-კორინთიანსი | 1,95 | 3,4 | 3,4 | 1,23 | 1,23 | 1,7 |
| 05.00 | 396 | ლიბერტადი-რივერ პლეიტი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 02.05 | 397 | ბოლივარი-გრემიო | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| 02.05 | 398 | უნამ-პენიაროლი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 05.05 | 399 | ბარსელონა-ბოკა ხუნიორსი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1.32 |
| 05.05 | 400 | ინდეპენდიენტე-კოლო კოლო | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1.04 | 1,2 | 2,46 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 604 | სლავია-პარდუბიცე | 2,05 | 4,0 | 2,5 | 1,35 | 1,12 | 1,53 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **11 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 609 | კიოლნი-კრეფელდი | 1,65 | 4,2 | 3,5 | 1,18 | 1,12 | 1.9 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 627 | ოტავა-აილენდერსი | 1,65 | 3,6 | 4,0 | 1,13 | 1.16 | 1,89 |
| 04.00 | 628 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 04.00 | 629 | ფილადელფია-ტორონტო | 1,85 | 3,4 | 3,3 | 1,19 | 1,18 | 1,67 |
| 04.30 | 630 | დალასი-ედმონტონი | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,17 | 1,98 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 04.00 | 631 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 2,3 | 3,2 | 2,6 | 1,33 | 1,22 | 1,43 |
| 04.00 | 632 | დეტროიტი-ანაჰაიმი | 1,55 | 3,8 | 4,6 | 1,1 | 1,15 | 2,08 |
| 06.00 | 633 | კოლორადო-მინესოტა | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,17 | 1,98 |
| 07.30 | 634 | ვანკუვერი-სტ.ლუისი | 2,1 | 3,3 | 2,9 | 1,28 | 1.21 | 1,54 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **9 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 676 | ცსკა-ეფესი | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2.7 |
| 21.30 | 677 | ულქერი-პანათინაიკოსი | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1,64 | 1 | 1,48 |
| 23.30 | 678 | უნიკახა-ციბონა | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1.48 | 1 | 1,64 |
| 23.30 | 679 | სიენა-სკიპერი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 23.00 | 680 | მაკაბი-ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| 23.00 | 681 | ოლიმპიაკოსი-ბარსელონა | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1.64 |
| 23.30 | 682 | ოლიმპია-ვილერბანი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | | | | |
| 23.45 | 2003 | ინტერი-ვალენსია | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 23.45 | 2004 | იუვენტუსი-ბარსელონა | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| | | 10 აპრილი | | | | | | |
| 00.05 | 205 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 01.00 | 2006 | პორტუ-ლაციო | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | |
| 23.45 | 2303 | ინტერი-ვალენსია | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 2304 | იუვენტუსი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| | | 10 აპრილი | | |
| 00.05 | 2305 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,75 | 1,85 |
| 01.00 | 2306 | პორტუ-ლაციო | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | |
| 23.45 | 2203 | ინტერი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 2204 | იუვენტუსი-ბარსელონა | 1,75 | 1,85 |
| | | 10 აპრილი | | |
| 00.05 | 2205 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,65 | 1,95 |
| 01.00 | 2206 | პორტუ-ლაციო | 1,7 | 1,9 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| | 9 აპრილი | | |
| 23.45 | ინტერი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 23.45 | იუვენტუსი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| | 10 აპრილი | | |
| 00.05 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,3 | 2,8 |
| 01.00 | პორტუ-ლაციო | 2,4 | 1,4 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა. NHL. 9 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| 04.00 | ოტავა-აილენდერსი | 1,2 | 3,5 |
| 04.00 | ნიუ ჯერსი-ბოსტონი | 1,3 | 2,8 |
| 04.00 | ფილადელფია-ტორონტო | 1,55 | 2,1 |
| 04.30 | დალასი-ედმონტონი | 1,2 | 3,5 |
| | 10 აპრილი | | |
| 04.00 | ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 1,9 | 1,7 |
| 04.00 | დეტროიტი-ანაჰაიმი | 1,1 | 5,0 |
| 06.00 | კოლორადო-მინესოტა | 1,2 | 3,5 |
| 07.30 | ვანკუვერი-სტ.ლუისი | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | |
| 23.45 | 2503 | ინტერი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 2504 | იუვენტუსი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 10 აპრილი | | | |
| 00.05 | 2505 | სელტიკი-ბოავიშტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 01.00 | 2506 | პორტუ-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | |
| 23.45 | 2403 | ინტერი-ვალენსია | 1,65 | 2,3 |
| 23.45 | 2404 | იუვენტუსი-ბარსელონა | 1,65 | 2,3 |
| | | 10 აპრილი | | |
| 00.05 | 2405 | სელტიკი-ბოავიშტა | 1,35 | 3,2 |
| 01.00 | 2406 | პორტუ-ლაციო | 1,85 | 1,95 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 აპრილი | | | | | | | | | |
| 23.45 | 2103 | ინტერი-ვალენსია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.45 | 2104 | იუვენტუსი-ბარსელონა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | 10 აპრილი | | | | | | | | | |
| 00.05 | 2105 | სელტიკი-ბოავიშტა | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 01.00 | 2106 | პორტუ-ლაციო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილერიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# ჩემპიონები და თასის აღება

**უეფას თასი**
**10 აპრილი (23.45)**

021 ლაციო 2,0
025 სელტიკი 2,5
024 პორტუ 4,2
034 ბოავიშტა 7,0

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**12 აპრილი (16.30)**

051 არსენალი 1,5
052 მანჩესტერი 2,0
055 ნიუკასლი 12,0

**იტალია. სერია A**
**12 აპრილი (21.00)**

063 იუვენტუსი 1,3
062 ინტერი 3,0
061 მილანი 3,5

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**12 აპრილი (22.00)**

071 რეალი 1,05
072 სოსიედადი 4,0
074 დეპორტივო 4,0

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**11 აპრილი (23.45)**

082 ლიონი 2,1
081 მარსელი 2,7
083 მონაკო 2,7
089 ბორდო 3,0
088 ნანტი 10,0
085 პსჟ 15,0
084 ოსერი 15,0
086 ნიცა 30,0

**საბერძნეთი. I დივიზიონი**
**12 აპრილი (18.00)**

121 ოლიმპიაკოსი 1,7
122 პანათინაიკოსი 1,7
124 აეკ 12,0

**ჩეხეთი. 12 აპრილი (17.25)**

191 სპარტა 1,3
192 სლავია 2,6

**თურქეთი. I ლიგა**
**11 აპრილი (22.00)**

132 ბეშიქთაში 1,35
131 გალათასარაი 2,5

**შოტლანდია. პრემიერლიგა**
**12 აპრილი (19.00)**

141 რეინჯერსი 1,2
142 სელტიკი 3,3

**დანია. სუპერლიგა**
**12 აპრილი (20.00)**

151 კოპენჰაგენი 1,15
152 ბრიონდბიუ 3,4

**შვეიცარია. A ლიგა**
**12 აპრილი (22.30)**

162 გრასჰოპერი 1,2
161 ბაზელი 3,3

**ჰოკეი. NHL. სტენლის თასი**
**9 აპრილი (23.45)**

201 დეტროიტი 3,5
202 დალასი 4,0
207 ოტავა 5,0
203 ფილადელფია 6,0
205 ნიუ ჯერსი 6,0
206 კოლორადო 6,5
208 ვანკუვერი 7,0
209 სენტ ლუისი 10,0
212 ტორონტო 10,0
210 ტამპა ბეი 20,0
215 ვაშინგტონი 20,0
211 მინესოტა 25,0
204 ბოსტონი 30,0
224 აილენდერსი 50,0
218 ანაჰაიმი 50,0
221 ედმონტონი 50,0

**კალათბურთი**
**NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

231 დალასი 3,0
232 საკრამენტო 3,0
233 ლეიკერსი 3,0
236 სან ანტონიო 4,4
234 ნიუ ჯერსი 12,0
235 ინდიანა 12,0
241 დეტროიტი 12,0
242 პორტლენდი 12,0
237 ფილადელფია 15,0
244 მინესოტა 25,0
238 ბოსტონი 30,0
239 ორლანდო 50,0
240 ნიუ ორლეანი 50,0
243 ჰიუსტონი 50,0
247 მილუოკი 50,0
248 იუტა 40,0
246 ფინიქსი 50,0
250 ვაშინგტონი 100,0

**კალათბურთი**
**ევროლიგა**
**9 აპრილი (21.00)**

262 ბენეტონი 2,0
261 ბარსელონა 2,5
264 ცსკა 3,5
274 სიენა 5,0
268 ოლიმპიაკოსი 6,0
269 მაკაბი 12,0
272 ეფესი 12,0
270 ოლიმპია 25,0
263 პანათინაიკოსი 25,0
273 სკიპერი 50,0
276 ციბონა 100,0

საქართველოს ჩემპიონატი

# ბასკო ფარს შეეფარა



არჩილ ჟღენტმა (№7) დავით ბერიშვილის „ბასკოს“ 42 ქულა ჩაუგდო

**გუშინ** ვერის ბაღში სსუ-მ გვარიანი სენსაცია გამოაცხო, თსუ დამარცხა, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის თამაშების მუდმივ თანმდევთ ამ თამაშის საცქერლად სად ეცალათ, რუსთავში „აზოტთან“ საბრძოლველად „ბასკო“ ჩასულიყო და ბევრმა ქომაგმა მეტალურგთა ქალაქს მიაშურა.

გულშემატკივართა გარდა რუსთავის „ქიმიკოსთა“ დარბაზს ჩვენი ნაკრების ახალგამომცხვარმა თავკაცმაც ჩააკითხა. დრაჟენ ბრაიკოვიჩს ორმაგი მისია დაეკისრა — „დინამოს“ მწვრთნელის რანგში მომავალ მეტოქეებს ზვერავდა და თან ნაკრების სავარაუდო კანდიდატებსაც ათვალიერებდა. წინდაწინ გეტყვით, რომ აზოტელი არჩილ ჟღენტისა და ბასკოელი ლევან ქარაბაკის ბრწყინვალე თამაში ხორვატ მწვრთნელს გულგრილს ალბათ არ დატოვებდა...

ბათუმელებმა თბილისშივე შეიტყვეს, რომ აზოტელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ჯაფარიძემ მანამდე ხელი დაიშავა და სავარაუდოდ მათ წინააღმდეგ ვერ ითამაშებდა. რუსთავში ჩასულ ბასკოელებს ჯაფარიძე ხელგადახვეული დახვდა, რომელსაც საკუთარი გუნდის დასახმარებლად ოდენ ქომაგობა დარჩენოდა.

ბოლო მატჩებში ნაყოჩაღევი „აზოტისთვის“ ძლიერი მეფარის არყოფნა სერიოზული დანაკლისი იყო. ქვემოქართლური გუნდისთვის ხომ ჯაფარიძე მთავარი დამრტყმელი ძალაა რამაზ გოგობერიშვილსა და არჩილ ჟღენტთან ერთად. ამიტომაც თავიდანვე ნათელი გახდა, რომ აზოტელებს ფარის მისადგომებთან პრობლემები შეექმნებოდათ, ბათუმელებს ხომ ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი თავდასხმა ჰყავთ კახა შენგელიას, ლევან ქარაბაკისა და ზვიად ბაბიაშვილის სახით. ცხადი იყო, რუსთაველები უკანა ხაზიდან შეტევებზე ააგებდნენ თამაშს და ასეც მოხდა, მათმა გამთამაშებელმა არჩილ ჟღენტმა ამ სეზონში თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

შეხვედრის დებიუტში და შემდეგაც „აზოტი“ ჟღენტის შედეგიანი გარღვევების იმედად იყო. რუსთაველთა გამთამაშებლისთვის მხრის აბმას რამაზ გოგობერიშვილი ცდილობდა, მაგრამ ცუდად გამოსდიოდა. „აზოტი“ სწორედ ამ კალათბურთელთა წყალობით მისდევდა ბათუმელებს, რომლებიც უფრო ფარქვეშიდან შეტევას ეშურებოდნენ, რაკი იქ გვარიან უპირატესობას ფლობდნენ.

თავიდან კახა შენგელია და ზვიად ბაბაიშვილი ეცადნენ „აზოტის“ საჯარიმოში გაბატონებას. რუსთაველთა მაღლები, შოთა მაჭარაძე და მიხეილ ბერუაშვილი მეტოქის ზონაში ვერ ყოჩაღობდნენ, საკუთარი ფარის ქვეშ კი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ბასკოელ ოპონენტებს. მატჩის დაწყებიდან ხუთიოდ წუთში მოედანზე ლევან ქარაბაკი გამოჩნდა, რომელმაც „ბასკოს“ ფარქვეშეთში დიდი უპირატესობა დაუბევა. ქარაბაკი ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე დიდი პოტენციის კალათბურთელია. იგი საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა ეროვნულ ჩემპიონატს შემორჩენილთა შორის. ჰოდა, ეს გუშინაც კარგად გამოჩნდა, იგი გასაოცარი სიზუსტით ქულას ქულაზე იხვეჭდა და საბოლოოდ 33 დაუგროვდა. თუ ეს მონაგარი არც ისე დიდია, ქარაბაკის ზუსტ სროლათა პროცენტული მაჩვენებელი მართლაც რომ შთამბეჭდავია. ლევანმა 33 ქულა 19 სხვადასხვაქულიანი სროლით დააგროვა, რომელთაგან მხოლოდ 2 ასცდა მიზანს.

„ბასკოს“ მეფარეთა მიძალება ადრევე გატეხდა „აზოტს“, რომ არა არჩილ ჟღენტი. ეს სწრაფი და მოუსვენარი კალათბურთელი მეორე მეოთხედშიც და მთელ თამაშშიც თითქმის მარტო ეტოქებოდა ბათუმელებს. მართალია, ჟღენტი საკუთარ ნახევარზე ვერ აკავებდა ბასკოელ უკანახაზელებს, რომელთაგან დავით ბერიშვილი, გოჩა წოწელია და ირაკლი კეიდია გამოირჩეოდნენ, მაგრამ იგი შეუდარებელი იყო შეტევაში.

ამ მატჩში მოხვეჭილი 42 ქულიდან, ჟღენტმა 11 მეორე მეოთხედის საწყის ორნახევარ წუთში მოაგროვა. იგი გამუდმებით ეძებდა ბზარებს ბასკოელთა დაცვაში და ხშირადაც პოულობდა. არჩილის დამსახურებაა, რომ 10 ქულით ჩამორჩენილმა „აზოტმა“ პირველი ტაიმის ბოლოსთვის სხვაობა ორამდე შეამცირა.

ცხადი იყო, რომ მხოლოდ ჟღენტის ჟინი ვერ მოაგებინებდა აზოტელებს. ფარქვეშ გაბატონებულ მეფარეთა გარდა „ბასკოს“ უკანა ხაზიც სწყალობდა.

რუსთაველებმა, მეორე ტაიმის განახლებისთანავე გაათანაბრეს ანგარიში მაგრამ ეს იყო და ეს. აზოტელებმა ვერა და ვერ მოახერხეს საკუთარი ფარქვეშეთის დაცვა, რომელსაც ქარაბაკისა და შენგელიას გარდა, სხვა, უფრო ტანდაბალი ბასკოელებიც გაეჩვივნენ.

ბოლო მეოთხედი ბათუმელთა 10-ქულიანი უპირატესობით განახლდა და ორიოდ წუთში სხვაობა უკვე 15-ამდე გაიზარდა. ჟღენტი ამაოდ ცდილობდა მატჩის გადარჩენას, მისი ზუსტი სამქულიანები შანსს კი უნარჩუნებდნენ რუსთაველებს, მაგრამ შანსს ხომ გამოყენება უნდა. „აზოტმა“ ეს ვერაფრით მოახერხა. რუსთაველთა ყველაზე ტანმაღალი კალათბურთელი შოთა მაჭარაძე პერსონალურების გამო თამაშიდან გავიდა, ჩამორჩენა კი კვლავაც 15-ქულიანი იყო...

**ირაკლი კერტაია**

8 აპრილი. ვერის ბაღი

**აკადემია 69:67 ქუთაისი**

18:15, 23:16, 16:20, 12:16

აკადემია: გამყრელიძე (3), ლეჟავა (6), საყვარელიძე (24), ვ. სანიკიძე (19), გვიმრაძე (5); ჯანეზაშვილი (1), ჩხატარაშვილი (11)

ქუთაისი: ნინუა (9), კვიმსაძე (10), პირტახია (11), ნ. შანიძე (4), იმნაძე (23); ვ. მაისურაძე (3), ცერცვაძე (3), დოლიძე (4), შავლაყაძე, ა. ბოლქვაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**სსუ 79:76 თსუ**

19:30, 25:10, 18:17, 17:19

სსუ: ჩიტაშვილი (16), სორდია (17), კანკია (11), ბარბაქაძე (13), აბულაძე (14); ქვილითაია (6), მ. ხოშტარია (2)

თსუ: ბ. ბერიშვილი (13), ვეფხვაძე (7), კილაძე (8), ლ. შანიძე (20), ორმოცაძე (8); არსიაშვილი (12), გ. ჩხეიძე (2), ზ. სანიკიძე (2), მიქაძე (4)

მსაჯები: ზურაბ ანდრიაძე, ლიკა ქაჯაია

კომისარი: თენგიზ ქოქიძე

**სტუ 93:79 მაკაბი**

19:23, 16:22, 26:15, 32:19

სტუ: მარხვაშვილი, ტუღუში (25), დავითულიანი (19), ნოზაძე (1), ახალკაცი (1); ხეცურიანი (9), გაგნიძე (2), ოთიურიძე, ლოსაბერიძე (16), ტუჯანი (10), მუშკუდიანი (10)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (25), ანდღულაძე (14), კონჯარია (8), ფიცხელაური, სუხიშვილი (20); ქოქოსაძე (3), ერგემლიძე (2), აკოლაშვილი (3), ვაშაკიძე (4), ტატუნაშვილი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: როლანდ ხომერიკი

8 აპრილი. რუსთავი

**აზოტი 97:113 ბასკო**

24:31, 30:25, 18:26, 25:31

აზოტი: ჟღენტი (42), გოგობერიშვილი (18), ჯიმშელეიშვილი (3), ბერუაშვილი (11), მაჭარაძე (7); გაბისონია (2), ტყეშელაშვილი (11), არწივიძე (3), ლიპარტელიანი, ჩაჩუა, დანელიანი

ბასკო: დ. ბერიშვილი (14), ცინცაძე (4), კეიდია (9), ბაბიაშვილი (9), შენგელია (19); წოწელია (8), ნიკოლაძე (4), კეშელავა (13), როდუმტა, ქარაბაკი (33)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 27 | 23 | 4 | + 576 | 50 |
| სტუ | 28 | 22 | 6 | + 444 | 50 |
| ბასკო | 27 | 21 | 6 | + 655 | 48 |
| თსუ | 28 | 17 | 11 | + 124 | 45 |
| აზოტი | 27 | 17 | 10 | + 57 | 44 |
| მაკაბი | 28 | 7 | 21 | - 507 | 35 |
| სსუ | 28 | 7 | 21 | - 570 | 35 |
| ქუთაისი | 27 | 6 | 21 | - 340 | 33 |
| აკადემია | 28 | 4 | 24 | - 439 | 32 |

# სტუდენტური პაემანი

## სირაკუზმა და კანზასმა ნბა გააჩერეს

*7 აპრილს მისი უდიდებულესობა ნბა ისვენებდა. ეს ყოველთვის ასეა, როცა სტუდენტური ჩემპიონატის ფინალი ტარდება. ეს, ასე ვთქვათ, ზრდილობიანი ჟესტია ნბა-ს მხრიდან და დაახლოებით ამას ნიშნავს – „მიდით, ყველამ ერთად ვუყუროთ NCAA-ს ფინალურ თამაშს“*



REUTERS

სირაკუზი ჩემპიონობას ხარობს

**სტუდენტურ თამაშებს** ნამდვილად არ აკლია აუდიტორია და სულაც არ სჭირდება ნბა-ს გულშემატკივრები. სტუდენტებს არ ეცოტავებათ მხარდამჭერები, ნბა-სთან სამათხოვროც არაფერი სჭირთ. კარგი გუნდების თამაშები სულ იოლად იკრებს ორ ათეულ ათას ქომაგს. მერე რა ქომაგობაა! თამაშებზე სტუდენტთა მთელი არმიები მოდიან. მჩქეფარე ახალგაზრდობა ხომ მთელი შიგნეულობით შეიგრძნობს საკუთარი უნივერსიტეტის გამარჯვების სიტკბოს და მარცხის სიმწარეს. რა შედარება ნბა-ს აუდიტორიასთან, რომლის დიდ ნაწილს სამსახურში მისავათებული „მშვიდობიანი“ მოსამსახურეები შეადგენენ.

წლევანდელ ფინალს, რომელსაც ახალმა ორლეანმა უმასპინძლა, 54 000 კაცი დაესწრო (ნეტავ, სად დაეტივნენ ამდენნი). ფინალი ნახვად ღირდა, ზედაძაბულ ბრძოლაში და ათასობით ჯეელის ღრიანცელში სიკაკუზის უნივერსიტეტის გუნდმა 81:78 დაამარცხა კანზასის უნივერსიტეტი და არსებობაში პირველად მოიპოვა NCAA-ს ჩემპიონის ტიტული.

NCAA სტუდენტთა სამოყვარულო ლიგაა და მასში მოთამაშე არც ერთ კალათბურთელი არ იღებს ხელფასს, თუნდაც დოლარს, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად მაინც, მაგრამ ვნებები აქაურ მოედნებზე უფრო დუღს ვიდრე მილიარდების მოტრიალე ნბა-ში.

სტუდენტები თავს იკლავენ, მათი მიზანი საბოლოოდ ნბა-ში მოხვედრაა, რასაც მხოლოდ რჩეულთა რჩეულები ახერხებენ. NCAA-ც დღემდე რჩება ნბა-ს ვარსკვლავების ამოუწურავ საბადოდ.

ნბა-ს მომავალი სუპერვარსკვლავები არც წლევანდელ ოთხთა ფინალს აკლდა, ბევრმა მოაწონა თავი ნბა-ს მზვერავებს, მათგან ერთ-ერთმა კი მთელი ამერიკა აღაფრთოვანა.

სირაკუზელი კარმელო ენტონი მხოლოდ ერთი წელია, სტუდენტია და მან უკვე აჩემპიონა სირაკუზი. ის ჯერ არ ფიქრობს სტუდენტური კალათბურთის მიტოვებაზე და ნბა-ში გადაბარგებაზე, მაგრამ თუ მაინც აჰყვა ნბა-ში მალე თამაშის და იქაურ ფულისთვის ხელის შეხების ცდუნებას, წლევანდელ დრაფტში ის პირველ ნომრობას შეეცილება სკოლის ვუნდერკინდ ლებრონ ჯეიმსს, ყმაწვილ სერბ გიგანტს დარკო მილიჩიჩისა და სტუდენტური ჩემპიონატის ამ სეზონის საუკეთესო მოთამაშეს ჯეკ კოლისონს. ეს უკანასკნელი კანზასის უნივერსიტეტში თამაშობს და კარმელო ენტონიმ ის და მისიანები გუშინწინ ფინალში დაამარცხა.

ენტონიმ უკვე ნახევარფინალის შემდეგ აალაპარაკა ოკეანსიქითა საკალათბურთო სამყარო, როცა ტეხასის უნივერსიტეტს 33 ქულა დატეხა თავს და სირაკუზს 95:84 გამარჯვებით ფინალისკენ გაუკვლია გზა „ის კაცია, კაცი — ბავშვივით ცმუკავდა სირაკუზის დარბაისელი მწვრთნელი ჯიმ ბოეიმი — ახლა მისგან ერთი ასეთი თამაშიც გვჭირდება.“

ენტონიმ არც ფინალში დაალალატა თავისიანები, მართალია, ამ ჯერზე 33 ქულა ველარ გააკეთა, მაგრამ მაინც ყინჩად გაუძღვა თავისიანებს და მძლავრ კანზასთან 20 ქულა, 10 მოხსნა და 7 პასი მიაშველა თავის გუნდს. ამ ოცი ქულიდან ენტონიმ 13 პირველ ტაიმში მოაგროვა, რომელიც გუნდმა 53:42 მოიგო.

ბევრს ცდილობდა კანზასელთა ყოჩი ჯეკ კოლიზონი, ის სრულიად დაეპატრონა ორივე ფარს და საბოლოოდ შეხვედრა 19 ქულით და 21 მოხსნით დაასრულა, მაგრამ ფარქვეშ მის ბატონობამ ვერ შეარყია სირაკუზის საზოგადო უპირატესობა. მით უმეტეს, რომ კარმელო ენტონის სხვებიც მიეშველნენ. ჩემპიონთაგან კიდევ ერთი გვარის დასახელება ღირს. სირაკუზის მომცრო თეთრკანიან ჯერი მაკნამარაზე ნბა-ს გუნდები ისეთ ტაციაობას არ გააჩაღებენ, როგორსაც ენტონიზე, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ეს ჯეელი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს სირაკუზის უნივერსიტეტის ისტორიის სპორტულ გვერდზე. მაკნამარამ, რომელიც სნაიპერული თვისებებით განთქმულა, პირველ ნახევარში 6 სამქულიანი ჩაუგდო „კანზასს“, რომელიც ამაოდ ცდილობდა მისი და ენტონის აგრესიისგან თავი დაეცვა. „არასდროს მინახავს მაკნამარასავით თავდაჯერებული მოთამაშე. თუ ის პირველ სროლას ჩააგდებს, სჯერა, რომ ყველას ჩაყრის, ხოლო თუ პირველს ააცილებს, კიდევ უფრო მტკიცედ სჯერა, რომ ყველა დანარჩენს ჩააგდებს.“ შეგირდებზე საუბარში აშკარა აღფრთოვანება შეინიშნება სისაკუზის თავკაცის ჯიმ ბოეიმის საუბარში. ეს არცაა გასაკვირი, მისი გუნდი ხომ პირველად გახდა ჩემპიონი.

თუკი რჩეული ბიჭები ნბა-ში გაექცევა, ბოეიმმა კიდევ ბევრი წელი უნდა იცადოს, იგივეს რომ მიაღწიოს, მაგრამ ის და ყველა სისრაკუზელი ცოტა დამშვიდდნენ მას შემდეგ, რაც კარმელო ენტონის სიტყვები მოისმინეს: „ეს ჩემი პირველი ოთხთა ფინალია. ვიმედოვნებ, რომ უკანასკნელი არ იქნება.“ მაშასადამე ის რჩება სირაკუზში და ამ ჯადოსნურ სტუდენტურ სამყაროში. არ ეჩქარება, ყველა გზა ხომ მაინც ნბა-ში მიდის.



REUTERS

გაფრინდება კარმელო ენტონი ნბა-ში?

**ირაკლი ფირაშვილი**

# რაგბის მარადონა ლიზ ჰარლიზე ოცნებობს
## თან ქართველებს გვეხვევა



**გონსალო კესადა**

ეროვნება: არგენტინელი
ასაკი: 28 წლის
სიმაღლე: 183 სმ; წონა: 88 კგ
ამპლუა: გარე ნახევარმცველი (№10)
კლუბები: „ხინდუ" (არგენტინა), „ნარბონი" (საფრანგეთი), „ბეზიე" (საფრანგეთი)
კეპი: 31
ქულა: 411; ლელო: 4; გარდასახვა: 50; საჯარიმო: 92; არეკნი: 5
ნაკრებში დებიუტი: 1996 წლის 14 სექტემბერი, აშშ-ის წინააღმდეგ

*1999 წლის მსოფლიოს თასამდე არგენტინულ კლუბ „ხინდუს" მე-10 ნომერ გონსალო კესადას მსოფლიოს რაგბში ერთეულები იცნობდნენ, მაგრამ მსოფლიოს თასმა ყველაფერი შეცვალა. არგენტინის ნაკრებმა თავს აჯობა, ჯგუფიდან გავიდა და მეოთხედფინალში გასასვლელ მატჩში ლეგენდად ქცეული კიტ ვუდის ირლანდია 28:24 დაამარცხა. კესადამ იმ მატჩში 23 ქულა მოინაგრა, თითქმის იმდენი, რამდენიც მთელმა ირლანდიამ გაუტანა არგენტინას. მართალია, არგენტინის ნაკრებმა მეოთხედფინალში საფრანგეთთან წააგო, მაგრამ მაინც „გუნდი სენსაცია" შეერქვა. „პუმების" წარმატების მთავარი შემოქმედი კი კესადა გახდა, რომელიც აღარ იყო ვინმე არგენტინელი, ის მსოფლიოს რაგბის ვარსკვლავი გახდა. მეტოქეებისთვის გატანილი 102 ქულით გონსალომ მსოფლიოს თასის ბომბარდირის ტიტული ირგუნა. ისეთ მექულეებს აჯობა, როგორებიც არიან უელსელი ნილ ჯენკინსი, სამხრეთაფრიკელი ჯანი დე ბეერი, ფრანგი კრისტოფ ლამეზონი, ახალზელანდიელი ენდრიუ მერთენსი და მსოფლიოს ჩემპიონი, ავსტრალიელი მეტიუ ბერკი. „რაგბის მარადონა", შემდგომში კი „ელ დიეგო", აი, ის მეტსახელები, კესადას რომ მოიხსენიებდნენ და მოიხსენიებენ. დღეს ის ფრანგული „ბეზიეს" შეტევების სულისჩამდგმელია, იმ „ბეზიესი", რომელშიც ოთხი ქართველი მორკინალი — მევლუდ მთიულიშვილი, გოდერძი შველიძე, ტარიელ რატიანიძე და ვანო ნადირაძე თამაშობენ. კესადას ქართველთა დახმარებით დავუკავშირდით. ის-ის იყო, „ბეზიემ" ვარჯიში დაასრულა, რომ გონსალოს ნომერი ავკრიფეთ...*

— გამარჯობათ, საქართველოდან გეხმიანებით...

— დიახ, თქვენს ზარს ველოდი. რამ გაგახსენათ ჩემი თავი?

**— 1999 წლის მსოფლიოს თასის ბომბარდირი ყოველთვის გვახსოვდა. მაშინ თქვენ ბევრი ცნობილი მორაგბე დაჩრდილეთ და ვარსკვლავი გახდით. როგორ გაგონდებათ ის დღეები?**

— ოო, ძალიან სასიამოვნო მოსაგონარია. ეს იყო უმნიშვნელოვანესი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. ამის შემდეგ აეწყო ჩემი ფრანგული კარიერა და ახლა ბედნიერი კაცი ვარ, რომ საფრანგეთის ისეთ სახელოვან კლუბში ვთამაშობ, როგორიც „ბეზიეა".

**— 1999 წელს არგენტინის ნაკრებმა ირლანდიას მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში საფრანგეთთან წააგო. როგორ ფიქრობთ, შეგეძლოთ ფრანგების დამარცხება?**

— დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ ფრანგებს მოვუგებდით, მაგრამ იმ მატჩს მოუმზადებლები შევხვდით. ჩვენ უელსში ვიყავით და ფრანგებთან თამაში დუბლინში დაგვინიშნეს. დუბლინში მატჩამდე ორი დღით ადრე ჩავედით, თანაც მთელი ღამე ვიმგზავრეთ. ძალიან დაღლილები ვიყავით და ნორმალურად ვერც კი ვივარჯიშეთ. ჩვენ რომ სამი დღე მაინც გვქონოდა ძალების აღსადგენად, ფრანგებს უეჭველად დავამარცხებდით.

**— მაშინ არგენტინის ნაკრებისთვის მეოთხედფინალში გასვლა დიდი წარმატება იყო...**

— რა თქმა უნდა, ამას არავინ ელოდა. თანაც მანამდე ირლანდიას მოვუგეთ. სამშობლოში გმირებად დავბრუნდით.

**— მაგრამ არგენტინაში დიდხანს არ დარჩენილხართ, მომდევნო წელს საფრანგეთის ჩემპიონატში გააგრძელეთ თამაში.**

— დიახ, მსოფლიოს თასზე „ნარბონის" მწვრთნელებს მოვეწონე და კონკრეტული წინადადებით მომმართეს. მეც ბევრი არ მიფიქრია, კონტრაქტი გავუფორმე. იქ ერთი სეზონი ვითამაშე, მერე კი „ბეზიეში" გადმოვედი და დღემდე ამ კლუბში ვარ.

**— გაგიჭირდათ საფრანგეთთან და იქაურ რაგბისთან შეგუება?**

— არა, ბეზიეში ძალიან კარგად გვექცევიან უცხოელებს. თავიდან ენობრივი ბარიერის გამო ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მერე ფრანგული ვისწავლე და ყველანაირი პრობლემა მომეხსნა. თანაც არგენტინა და საფრანგეთი ლათინური ქვეყნებია და ცხოვრების სტილით ძალიან გვანან ერთმანეთს. ასე რომ, თავი შინ მგონია.

**— ბეზიეში ოთხი ქართველი თამაშობს. მათთან თუ მეგობრობთ?**

— ბეზიეში ვინც არიან, ყველასთან ვმეგობრობ. ძალიან მხიარული და ალალი ბიჭები არიან. სხვათა შორის, ბეზიელი ქართველების გარდა საფრანგეთში მოთამაშე კიდევ რამდენიმე თქვენიანს ვიცნობ.

**— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?**

— ოთხი-ხუთი წლის წინ საქართველოს ნაკრებზე არაფერი ვიცოდი, ახლა კი გარკვეული წარმოდგენა მაქვს თქვენს გუნდზე. ბოლო წლებში საქართველოში რაგბი პოპულარული გახდა და ნაკრებმაც თამაში საგრძნობლად გააუმჯობესა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საფრანგეთში ბევრი ქართველი თამაშობს. აქ ისინი კლასს აიმაღლებენ.

**— ქართველები და არგენტინელები თუ ჰგვანან ერთმანეთს?**

— დიახ, ძალიან. ბევრი საერთო გვაქვს — ორივე სამხრეთული ქვეყანაა, ხასიათი, მენტალიტეტი, ცხოვრების წესი, ადამიანებთან ურთიერთობა, მოლხენა.

**— არგენტინის ნაკრებში ბოლოს შარშან, სამხრეთ აფრიკასთან ითამაშეთ. მას მერე ნაკრებში არ გამოჩენილხართ, რატომ?**

— სამხრეთ აფრიკის შემდეგ არგენტინას ევროტურნე ჰქონდა და მწვრთნელებმა ძალიან ბევრი ახალგაზრდა გამოსცადეს. ჩემთვის არ აუხსნიათ, რატომ არ დამიძახეს. ალბათ იციან ჩემი შესაძლებლობები და ახალბედების ნახვა უნდოდათ. ისე კი, ახლახან სანაკრებო შეკრებაზე ვიყავი და ჩათვალეთ, რომ ნაკრებს დავუბრუნდი. წლეულს მსოფლიოს თასზე აუცილებლად ვითამაშებ.

**— რას მიაღწევს არგენტინის ნაკრები მსოფლიოს თასზე?**

— ყველაზე რთულ ჯგუფში მოვხვდით. ჩვენთან არიან ავსტრალია, ირლანდია, რუმინეთი და ნამიბია. ჩვენთვის დიდი მიღწევა იქნება, ჯგუფიდან თუ გავალთ. ალბათ, ეს არის მთავარი მიზანი, მერე კი ვნახოთ.

**— ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი?**

— ავსტრალია ან ინგლისი.

**— სადღეისოდ რომელი ნაკრებია მსოფლიოში საუკეთესო?**

— ინგლისი.

**— მორაგბე?**

— ინგლისელი ჯონი უილკინსონი. ის ვუნდერკინდია და ახალზელანდიელი ენდრიუ მერთენსი, რომელიც უბრალოდ „პროფესორია".

**— ვინ მიგაჩნიათ ყველა დროის საუკეთესო მე-10 ნომრად?**

— ძნელია ერთი რომელიმე გამოარჩიო. არგენტინელი უგო პორტა, ფრანგი სერჟ ბლანკო და ახალზელანდიელი ენდრიუ მერთენსი ვცდილობ, მათ მივბაძო განსაკუთრებით კი პორტას, ის ჩემი კერპია.

**— 1999 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ „რაგბის მარადონა" შეგარქვეს, შემდეგ კი მეტსახელი „ელ დიეგო" შეგრჩათ. თვლით, რომ მარადონას დამსახურებულად შეგადარეს?**

— არა. ეს გადაჭარბებული შედარებაა. არგენტინაში აღმერთებენ ფეხბურთს და ყველაფერს ფეხბურთს ადარებენ. ალბათ, ამიტომაც შემადარეს მარადონას. თანაც ორივეს ხომ 10-ნომრიანი მაისურა გვეცვა. მარადონა ჩემი იდეალია. იგი ერთადერთი და განუმეორებელია. მასთან ახლოსაც ვერ მივალ.

**— როგორია გონსალო კესადა მოედნის გარეთ?**

— საკმაოდ მშვიდი და მხიარული.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ძალიან მიყვარს კითხვა, ამ ბოლო დროს ინტერნეტში დავძვრები, ჰაკერი მინდა გავხდე, ვხუმრობ. ხანდახან გოლფს ვთამაშობ. თუ დრო მრჩება, კინოში დავდივარ ან ფეხბურთს ვუყურებ. „ინდეპენდიენტეს" ვქომაგობ, ძალიან მინდა არგენტინის ჩემპიონი გახდეს.

**— გამორჩეულად რომელი ფილმი მოგწონთ?**

— ჯერი მაკგუაერი.

**— მსახიობი?**

— კაცებიდან ბრიუს უილისი, ქალებიდან ლიზ ჰარლი. ჰარლი ჩემი ოცნების ქალია. ერთი ეგ დამათრევინა...

**— მელომანი ხართ?**

— ალბათ არა, ისე კი „U2"-ს ვუსმენ, ამ ჯგუფის ყველა ალბომი მაქვს.

**— ტანგოს ცეკვავთ?**

— ჰა-ჰა-ჰა, სამწუხაროდ, არა.

**— დროა, დაგემშვიდობოთ. გმადლობთ, საუბრისთვის.**

— პირიქით, დიდი მადლობა, რომ გახსოვართ. ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რომ საქართველოში მიცნობენ. მინდა, ქართველებს ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ და აქედან გეხვევით.

**ბაჩო სვანიძე**



**ლიზ ჰარლიზე ვინ არ ოცნებობს?!**

*ჭაბუკ, ანუ 19-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს თასს, რომელიც ყოველწლიურად იმართება, წლეულს პარიზი და მისი შემოგარენი უმასპინძლებს. ტურნირი ხვალ დაიწყება და 19 აპრილამდე გასტანს. შეჯიბრის ორგანიზატორები არიან ევროპაში რაგბის განვითარებისა (FIRA-AER) და რაგბის საერთაშორისო საბჭოები (IRB)*

# ხვალიდან!
## მაგარი ბიჭური ამბავი



**პაატა ნარიმანაშვილი კარსმომდგარ მსოფლიოს თასს იმედით ელის**

**ბოლო წლებია,** IRB დიდ ინტერესს იჩენს ახალგაზრდული მსოფლიო თასის მიმართ და მისი მთავარი სპონსორიცაა. ბოლო ოთხ გათამაშებას IRB-მ 2 მილიონი გირვანქა დაახარჯა.

ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე 32 გუნდი ითამაშებს. მონაწილენი სიძლიერის მიხედვით ორ, A და B ჯგუფებში არიან განაწილებულნი. უძლიერესი 16 ნაკრები ელიტარულ A ჯგუფშია და მისი გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონი ხდება. ელიტართაგან ორი ბოლოადგილოსანი ქვემო 16-ეულში ჩაინაცვლებს. მათ ადგილას კი შესაბამისად B ჯგუფის ფინალისტები დაიკავებენ.

საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც პაატა ნარიმანაშვილი წვრთნის, საელიტო საგზური შარშანწინ მოიპოვა, როცა B ჯგუფის ფინალში რუსეთი დაამარცხა. შარშან კი ჩვენებურებმა უძლიერესებში ადგილი შეინარჩუნეს, მეტიც, დებიუტანტის კვალობაზე ერთობ სოლიდურ, მე-10 ადგილას გამოჰკრეს ხელი.

ტურნირის ფორმატი იმგვარია, რომ ყველა ადგილი თამაშდება. შეჯიბრი პლეი ოფის სისტემით იმართება და პირდაპირ მერვედფინალები იწყება.

კენჭისყრით ჭაბუკი ბორჯღალოსნები პირველ მატჩს ხვალ უელსთან გამართავენ, იმ უელსთან, რომელთანაც შარშან წააგეს სადებიუტო მატჩი ელიტარულ ლიგაში. ჩვენებსა და უელსს შორის გამარჯვებული მეოთხედფინალში საფრანგეთსა და კანადას შორის უკეთესს შეხვდება, წაგებული კი — უარესს.

საამტურნიროდ ჩვენები ათდღიან შეკრებაზე იყვნენ საფრანგეთში და ორი სპარინგ-მატჩიც გამართეს. ჯერ შეჯიბრის მასპინძელ და თავიანთ ფრანგ თანატოლებთან დამარცხდნენ, მერე კი „ტურის" ჭაბუკთა გუნდს მოუგეს.

პაატა ნარიმანაშვილის პროგრამა-მინიმუმი შარშანდელი შედეგის გამეორებაა, პროგრამა-მაქსიმუმი კი — საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა.

**ბაჩო სვანიძე**

**A ჯგუფის მერვედფინალური წყვილები**

**ახალი ზელანდია — ნამიბია**
**იტალია — ირლანდია**
**შოტლანდია — რუმინეთი**
**არგენტინა — იაპონია**
**საფრანგეთი — კანადა**
**უელსი — საქართველო**
**სამხრეთ აფრიკა — სამხ.კორეა**
**ინგლისი — რუსეთი**

*B ჯგუფში ითამაშებენ:* ურუგვაი, ჰონკონგი, უკრაინა, გერმანია, ტუნისი, ლიტვა, აშშ, ბელგია, ჩილე, ჩეხეთი, პარაგვაი, მაროკო, ესპანეთი, კოტ დი ვუარი, პორტუგალია, პოლონეთი.

ჩოგბურთი

# მეამბოხეები ფუძნდებიან და სახელიანებს იბირებენ

**მეამბოხე კაცმეჩოგნეთა** საერთაშორისო კავშირი (IMTA) — რომელიც იურიუდიულად წინა თვეში, მაიამობისას გაფორმდა — ნელ-ნელა ძალებსა და რიცხოვნობას იკრებს.

კავშირის ადვოკატის, რობ ფრიმენის განცხადებით, კავშირში უკვე ზეათეულის ოთხი წარმომადგენელი და კიდევ 52 მეჩოგნე გაერთიანდა.

მეამბოხენი იმედოვნებენ, რომ მორიგ 10-15-კაციან რაზმს ისინი მომავალ კვირაში მონტეკარლოურ მასტერსტურნირზე გადაიბირებენ.

კავშირის დამფუძნებელ ზეპურ მეჩოგნეთა შორის არიან ლეიტონ ჰიუიტი, მარატ საფინი, როჯერ ფედერერი, პარადორნ შრიჩაფანი, ჯეიმს ბლეიკი და ევგენი კაფელნიკოვი.

„ეს ნიშნავს, რომ ორგანიზაცია აბსოლუტურად ლეგიტიმურია" — ამბობს ფრიმენი.

შეგახსენებთ, რომ IMTA კაცმეჩოგნეთა ახალი პროფკავშირია, რომლის მიზანიც არა ATP-სთან ცილობა, არამედ ATP-ის მოთამაშეთა საბჭოსგან მოთამაშეთა წარმომადგენლობის ფუნქციის ჩამორთმევაა.

მეამბოხეთა აღმასრულებელ კომიტეტს სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირა მეთაურობს, მის გარდა კი კომიტეტში ამერიკელი დონ ჯონსონი, ჰოლანდიელი პოლ ჰაარხოისი და ბელგიელი ლორან ტილემანი მოღვაწეობენ.

# ლარსონმაც ჩამოკიდა

**ავსტრალიელ** მედევისეებთან „ნულოვანი მარცხის" შემდეგ ვეტერანმა შვედმა მაგნუს ლარსონმა დიდი ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

„უკვე 33 წლის ვარ, 14 წელია, ვბურთაობ და — სიმართლე გითხრათ — თამაში უკვე კაცურად მომყირჭდა" — თქვა მან.

დევისბუქნაობაში ლარსონს ამჯერად მონაწილეობა არ მიუღია, რაკილა მაჯის ტრავმა ჰქონდა. მაგრამ კარიერის დამლევს მას შეუძლია, სიამაყით მოიგონოს, თუ რა ბარაქიანი წვლილი შეუტანია შვედთა 1994, 1997 და 1998 წლების დევისწარმატებებში.

1995 წელს ის ამქრის ზეათეულშიც აღზევდა, ხოლო წლით ადრე როლან გაროსის ნახევარფინალშიც გააღწია — რაც მისი უმთავრესი სლემმიღწევა გამოდგა.

კარიერისას მას 7 ჯილდო მოუგია, აქედან ყველაზე სასახელო 1994 წლის „დიდი სლემის" თასი იყო.

ლარსონი ამჟამად კლასიფიკაციის 169-ე საფეხურზე დგას და, რა გასაკვირია, ჩოგნის დედაბოძზე ჩამოკიდება რომ გადაწყვიტა.

**THE FAMILY CIRCLE CUP**
**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**პირველი წრე**

**ამანდა კუცერი (10, სამხრეთ აფრიკა) — დენია ჰლადკოვა (ჩეხეთი) 3:6, 6:2, 6:4; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 1:6, 6:4, 6:3; ტინა პისნიკი (სლოვენია) — სტეფანი ფორე (საფრანგეთი) 6:3, 6:4; ვერა ზვონარევა (რუსეთი) — სარა ტეილორი (აშშ) 6:2, 6:4**

**GRAND PRIX HASSAN 66**
**კასაბლანკა. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი "**

**ნიკოლას მასუ (ჩილე) — ფერნანდო ვისენტე (6, ესპანეთი) 0:6, 6:3, 7:6 (7:5); ლუის ორნა (პერუ) — ანდრეს (8, ბრაზილია) 6:4, 6:0; ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:4, 6:1; ზელკო კრაიანი (ხორვატია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 7:6 (7:4), 6:4**

**ESTORIL OPEN**
**ესტორილი. თიხნარი**
**კაცები**
**საპრიზო 525 ათასი $**

**იოჰან ვან ლოტუმი (ჰოლანდია) — ირჟი ნოვაკი (1, ჩეხეთი) 6:7 (5:7), 6:4, 7:5; ტომი რობრედო (5, ესპანეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 6:1; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:4; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — დიოგო როშა (პორტუგალია) 6:1, 6:0**

**ქალები**
**140 ათასი $**

**ვირჟინი რაზანო (3, საფრანგეთი) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 7:6 (7:5), 6:0; სილვია ტალაია (ხორვატია) — კლარა კუკალოვა (6, ჩეხეთი) 6:4, 6:4; ივეტა ბენეშოვა (8, ჩეხეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:3, 6:1; ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) — ანგელიკა რიოში (გერმანია) 5:7, 6:4, 6:4**

ცურვა

# უწლოვანი წამებს ედავება

**უწლოვანმა** ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა 400 მეტრზე კომბინირებული სტილით მის მიერვე დამყარებულ მსოფლიო რეკორდს წამის სამ მეათედზე მეტი ჩამოაკლო.

ამბავი ამერიკელ და ავსტრალიელ მოცურავეთა ინდიანაპოლისური გაჯიბრებისას მოხდა და 17 წლის ფელპსს მისი სათუთფე მანძილი 4 წუთსა და 10,73 წამში დანებდა.

წინა სარეკორდო ჯერზე ამერიკელმა თინეიჯერმა 4 წუთი და 11,09 წამი აჩვენა.

საბატერფლაო ასმეტრეული ფელპსმა 55,04 წამში გაცურა, საზურგულო — წუთსა და 03,23 წამში, საბრასოს წუთი და 14,23 წამი მოანდომა, ხოლო თავისუფალი სტილით დასაფარს — 58,23 წამი.



აუზების ახალი ვარსკვლავი მაიკლ ფელპსი

რეგულარული ჩემპიონატი

# ჩემპიონატი დარეგულირდა

**„მიბრძანდით, ბატონო!"** — შესთავაზა „რეინჯერსმა" მოსისხლე მტერ „აილენდერსს" და გზა დაუთმო. კარგად მოგეხსენებათ, მე-8 საპლეიოფო საგზურის ბედი ჩემპიონატის ბოლო სამ დღეს რომ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ყველაფერი პარასკევსვე გაირკვა. რევერანსების შეჯიბრში ბოლო სიტყვა „რეინჯერსმა" თქვა, რომელმაც ნიუ ჯერსის (1:2) ვერაფერი მოუხერხა და ზედიზედ მეექვსედ (!) აღმოჩნდა პლეი ოფს მიღმა.

ჩემპიონატის ფინიშზე ოტავამ გამოიჩინა თავი. „სენატორებმა" თავიანთ ისტორიაში პირველად მოიგეს რეგულარული ჩემპიონატი. ბრწყინვალე შედეგია, კანადის წარმომადგენლებს ხომ ბოლო 14 წლის განმავლობაში არ მოუღწევიათ ასეთი წარმატებისთვის. 111 ქულით და 51 მოგებით ოტავამ საკლუბო რეკორდი დაამყარა.

დასავლეთში კი გამარჯვებულის ვინაობა ბოლო დღეს გაირკვა. დეტროიტი ჩიკაგოსთან ოვერტაიმში დამარცხდა და პირველობა დალასს დაუთმო. ტეხასელებმა ნეშვილს 2:0 სძლიეს, რისი წყალობითაც მეკარე მარტი ტურკომ საშუალოდ ერთ თამაშში გაშვებული გოლების მაჩვენებელი ფანტასტიკურ 1,72-მდე დაიყვანა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი NHL-ს აბსოლუტური რეკორდია. საუკეთესო ბომბარდირის ვინაობა კი ორი თანაქალაქელის შინაურ პაექრობაში გაირკვა. შვედეთის პატარა ქალაქ ერნშიოლდსვიკის ორი დიადი ფორვარდის, კოლორადოელი პეტერ ფორსბერგისა და ვანკუვერელი მარკუს ნესლუნდის დუელში გამარჯვება პირველს შეხვდა. ბოლო დღეს სენტ ლუისთან მატჩში ფორსბერგმა 3(1+2) ქულა მოიპოვა მაშინ, როცა ნესლუნდს ლოს ანჯელესთან შეხვედრაში საერთოდ მოეცარა ხელი. საბოლოოდ ფორსბერგი 106 ქულით დაწინაურდა ორი ქულით გაუსწრო მეტოქეს, მან ლიგის ისტორიაში ფორსბერგი პირველი კოლორადოელია, ვინც საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 82 | 52 | 8 | 1 | 21263:182 | 113 |
| ნიუ ჯერსი | 82 | 46 | 10 | 6 | 20216:166 | 108 |
| ტამპა | 82 | 36 | 16 | 5 | 25219:210 | 93 |
| ფილადელფია | 82 | 45 | 13 | 4 | 20211:166 | 107 |
| ტორონტო | 82 | 44 | 7 | 3 | 28236:208 | 98 |
| ვაშინგტონი | 82 | 39 | 8 | 6 | 29224:220 | 92 |
| ბოსტონი | 82 | 36 | 11 | 4 | 31245:237 | 87 |
| აილენდერსი | 82 | 35 | 11 | 2 | 34224:231 | 83 |
| რეინჯერსი | 82 | 32 | 10 | 4 | 36210:231 | 78 |
| მონრეალი | 82 | 30 | 8 | 9 | 35206:234 | 77 |
| ატლანტა | 82 | 31 | 7 | 5 | 39226:284 | 74 |
| ბუფალო | 82 | 27 | 10 | 8 | 37190:219 | 72 |
| ფლორიდა | 82 | 24 | 13 | 9 | 36176:237 | 70 |
| პიტსბურგი | 82 | 27 | 6 | 5 | 44189:255 | 65 |
| კაროლინა | 82 | 22 | 11 | 6 | 43171:240 | 61 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 82 | 46 | 15 | 4 | 17245:169 | 111 |
| დეტროიტი | 82 | 48 | 10 | 4 | 20269:203 | 110 |
| კოლორადო | 82 | 42 | 13 | 8 | 19251:194 | 105 |
| ვანკუვერი | 82 | 45 | 13 | 1 | 23264:208 | 104 |
| სენტ ლუისი | 82 | 41 | 11 | 6 | 24253:222 | 99 |
| მინესოტა | 82 | 42 | 10 | 1 | 29198:178 | 95 |
| ანაჰაიმი | 82 | 40 | 9 | 6 | 27203:193 | 95 |
| ედმონტონი | 82 | 36 | 11 | 9 | 26231:230 | 92 |
| ჩიკაგო | 82 | 30 | 13 | 6 | 33207:226 | 79 |
| ლოს ანჯელესი | 82 | 33 | 6 | 6 | 37203:221 | 78 |
| ფინიქსი | 82 | 31 | 11 | 5 | 35204:230 | 78 |
| კალგარი | 82 | 29 | 13 | 4 | 36186:228 | 75 |
| ნეშვილი | 82 | 27 | 13 | 7 | 35183:206 | 74 |
| სან ხოსე | 82 | 28 | 9 | 8 | 37214:239 | 73 |
| კოლუმბუსი | 82 | 29 | 8 | 3 | 42213:263 | 69 |

*მსხვილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

**ბომბარდირები:** ფორსბერგი (კოლორადო) 106 (29+77); ნესლუნდი (ვანკუვერი) 104 (48+56); ტორნტონი (ბოსტონი) 101 (36+65); ჰეიდუკი (კოლორადო) 98 (50+48); ბერტუცი (ვანკუვერი) 97 (46+51); დემიტრა (სენტ ლუისი) 93 (36+57); მიურეი (ბოსტონი) 92 (44+48); ლემიე (პიტსბურგი) 91 (28+63); ჰიტლი (ატლანტა) 89 (41+48); პალფი (ლოს ანჯელესი) 85 (37+48)

ჰოკეი

**NHL სტენლის თასი. პირველი წრე**
**აღმოსავლეთ კონფერენცია**

## ოტავა (1) VS აილენდერსი (8)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=1-1

**მიღწევები:** გასულა თასის მეორე რაუნდში

**ლიდერები:** მარიან ჰოსა (45 გოლი+35 პასი), დანიელ ალფრედსონი (27+52), ტოდ უაიტი (25+35), მარტინ ჰავლატი (24+35)

**მიღწევები:** თასის 4-გზის მფლობელი

**ლიდერები:** ალექსეი იაშინი (26+39), ჯეისონ ბლეიკი (25+30), მარკ პერიში (23+24), მაიკ პეკა (13+29)

პლეი ოფი სულ სხვა რამაა, რეგულარულ ჩემპიონატს ვერ შევადარებთ. ეს აქსიომა ყველაზე უკეთ ამ წყვილს მოერგება. ოტავამ არსებობაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და პირველი ადგილი მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავ პრობლემას წააწყდა და საქმე გაკოტრებამდეც ჰქონდა. „აილენდერსმა" კი გაჭირვებით გააღწია პლეი ოფში. ეს გუნდი ბოლო მატჩებში ერთობ არასტაბილურად, დაძაბულად თამაშობდა. თუმც ახლა, რაკი სეზონის უმთავრესი პრობლემა გადაწყვიტეს, ნიუიორკელებს დასაკარგი აღარაფერი აქვთ და ამ მხრივ დიდი ფსიქოლოგიური უპირატესობა ექნებათ. და ეს მაშინ, როცა ოტავა არასათასო გუნდის რეპუტაციით სარგებლობს. „სენატორებმა" გარკვეული დასკვნები გამოიტანეს წინა სეზონების ფიასკოების შემდეგ და შემადგენლობა რამდენიმე ძალოვანი მოთამაშით გაამაგრეს.

ამ სერიას განსაკუთრებულ ეშხს ალექსეი იაშინი შემატებს. ყოფილმა „სენატორმა" ამ სეზონის ძირითადი ნაწილი ჩააფლავა, მაგრამ ფინიშზე ძველებურად ათამაშდა და ალბათ ძალიან მოინდომებს ყოფილი პარტნიორების წინააღმდეგ.

CBS SPORTSLINE-*ის პროგნოზი: ოტავა 4 თამაშში მოიგებს*

## ნიუ ჯერსი (2) VS ბოსტონი (7)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=1-1

**მიღწევები:** თასის 2-გზის მფლობელი

**ლიდერები:** პატრიკ ელიაში (27+29), ჯეფ ფრიზენი (23+27), ჯემი ლანგენბრუნერი (22+32), სკოტ გომესი (13+41)

**მიღწევები:** თასის 5-გზის მფლობელი

**ლიდერები:** ჯო ტორნტონი (36+65), გლენ მიურეი (44+48), მაიკ ნუბლი (30+29), ბრაიან როლსტონი (27+32)

ბოსტონი ნიუ ჯერსისთვის ალბათ ყველაზე მოხერხებული მეტოქეა. მიუხედავად იმისა, რომ „ეშმაკებმა" მწვრთნელი გამოიცვალეს და რამდენიმე ახალი მოთამაშეც შეიმატეს, მაიც შეინარჩუნეს თავიანთი სტილი, რომელიც დიად მეკარე მარტინ ბროდოს მდგრადობაზე და სწრაფ კონტრშეტევებზეა აგებული. ბოსტონმა კი ამ სეზონში ყველაზე მხიარული და უდარდელი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ჯო ტორნტონის საუცხოო სეზონსა და მისი სამეულის ხიფათიან შეტევებს გუნდის დაცვაში გამეფებული სრული ქაოსი აფერმკრთალებდა. ამიტომაც 8:5, 6:4, 4:5 ჩვეული ანგარიშები გახდა ბოსტონისთვის. ნიუ ჯერსიც სწორედ ამგვარ გუნდებს მიიჩნევს გემრიელ ლუკმად. ბოსტონს სასიხარულო სიახლე აქვს — სერგეი სამსონოვი დაუბრუნდა და გუნდის პირველი ტრიო კიდევ უფრო გაძლიერდება.

CBS SPORTLINE-*ის პოგნოზი: ნიუ ჯერსი 5 თამაშში მოიგებს*

## ტამპა ბეი (3) VS ვაშინგტონი (6)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=0-3

**მიღწევები:** გასულა პლეი ოფში

**ლიდერები:** ვენსან ლეკავალიე (34+44), მარტინ სან ლუი (33+37), ვაცლავ პროსპალი (22+57), ბრედ რიჩარდსი (17+57)

**მიღწევები:** გასულა თასის ფინალში

**ლიდერები:** იარომირ იაგრი (36+41), პეტერ ბონდრა (30+20), რობერტ ლანგი (22+47), სერგეი გონჩარი (18+49)

სამხრეთ-აღმოსავლეთის გუნდები რას მოიმოქმედებენ, ძნელად სავარაუდოა. ეს ლიგის უსუსტესი დივიზიონია, მაგრამ მისი წარმომადგენლები ხანდახან თასის ფინალშიც ხვდებიან (შარშან ეს კაროლინამ მოახერხა). ტამპა საერთოდ ამ სეზონის აღმოჩენაა. მრავალწლიანმა აუტსაიდერმა მოულოდნელად დივიზიონი მოიგო და ძალიან გააზრებულადაც ითამაშა. ესაა, გუნდის ლიდერებს საპლეიოფო გამოცდილება აკლიათ, რასაც ვერ ვიტყვით ვაშინგტონის ვარსკვლავებზე. ალბათ ამ სერიის ბედს ნიკოლაი ხაბიბულინისა და იარომირ იაგრის დაპირისპირება გადაწყვეტს. რუს მეკარეს ხშირად უკავშირებენ ტამპას წინსვლას და სამართლიანადაც. აი, იაგრი კი ჯერჯერობით ვერ ჩამოყალიბდა ვაშინგტონის ლიდერად. იქნებ ეს ამ პლეი ოფში მოხდეს?

CBS SPORTSLINE-*ის პოგნოზი: ვაშინგტონი 7 თამაშში მოიგებს*

## ფილადელფია (4) VS ტორონტო (5)

ურთიერთშეხვედრები ამ სეზონში: +2=0-2

მიღწევები: თასის 2-გზის მფლობელი

ლიდერები: ჯერემი რენიკი (27+32), ტონი ამონტე (20+31), მარკ რეკი (20+32), კეიტ პრიმო (18+25)

მიღწევები: თასის 12-გზის მფლობელი

ლიდერები: მათს სუნდინი (37+35), ალექს მოგილნი (33+46), ოუენ ნოლანი (29+25)

მეტოქეები ძალიან შეეცადნენ, რომ პირველ რაუნდში არ შეჯახებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ... მათ შეხვედრას კონფერენციის ნაადრევი ფინალიც ამიტომ უწოდეს. ორივე ძალიან ამბიციურია, ჰყავთ უძლიერესი შემადგენლობა, მაგრამ ბოლო წლებში დიდ წარმატებებს ვერ აღწევენ, მიუხედავად იმისა, რომ მენეჯმენტი ყველაფერს აკეთებდა საამისოდ. ამ სეზონში ორივე გუნდი დიდ იმედებს ამყარებს.

მეტოქეების ჩემპიონატის მსვლელობისას არც პრობლემები დაჰკლებიათ. ფინიშზე ფილადელფია მძლავრად ათამაშდა, ტორონტო კი უდისციპლინობით გამოირჩეოდა. ოფიციალური ინფორმაციით, კანადური კლუბის რამდენიმე ლიდერი მძიმედ არის ტრავმირებული, მაგრამ გუნდის თავკაც პეტ ქუინს ეს ტაქტიკა უკვე დაუძველდა და სულაც არ გაგვიკვირდება, თუ მათს სუნდინსა და კომპანიას პირველივე მატჩებში ვიხილავთ.



„ტორონტოს" იმედი მატს სუნდინი

CBS SPORTSLINE-*ის პოგნოზი: ფილადელფია 6 თამაშში მოიგებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა



„თეთრ სახლში" ყველაზე გამორჩეული რობერტ შავლაყაძისა და მისი ოჯახის მაგიდა იყო

# რომის ტრიუმფატორი თეთრ სახლში

— რამდენი ადამიანია, რომელიც ცხოვრებაში ვერაფერს აღწევს, მე კი ჩემი კვალი დავტოვე. ეს დიდი ბედნიერებაა. ბედნიერი ვარ არა მარტო ამ მხრივ, არამედ ჩემი ოჯახითაც. მყავს მეუღლე, ორი ქალიშვილი, კარგი სიძეები, შვილიშვილები — გვითხრა რობერტ შავლაყაძემ.

რობერტ შავლაყაძე ქართული სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული სპორტსმენია. იგი ოლიმპიური ჩემპიონია და ამით ბევრი რამაა ნათქვამი. 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე შავლაყაძე პირველი საბჭოთა სპორტსმენი გახდა, რომელმაც სიმაღლეზე ხტომაში ამგვარ წარმატებას მიაღწია. რობერტ შავლაყაძე მაშინ გახდა მსოფლიოში მესამე, ვინც ოლიმპიადებზე ამერიკელებს სძლია, მან გადამწყვეტ ბრძოლაში მსოფლიოს რეკორდსმენი ჯონ ტომასი დაამარცხა. თუმცა, შავლაყაძემ სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელთა ჰეგემონია მანამდე, 1959 წელს ფილადელფიაში გამართულ „გიგანტთა მატჩში" დაამხო, რომელშიც აშშ-სა და სსრ კავშირის მძლეოსნები მონაწილეობდნენ.

ამას გარდა, რობერტ შავლაყაძე არის 1962 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი და სსრკ ჩემპიონი (1964), რასაც იმ დროს მსოფლიოს ექვსგზის რეკორდსმენ ვალერი ბრუმელთან ბრძოლაში მიაღწია, მანამდე კი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სამგზის ვერცხლისა და (1959, 60, 62) მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი.



მაია აზარაშვილმა იუბილარს IAAF-ის ჯილდო გადასცა

ეს ყოველივე და სხვაც მრავალი გაიხსენეს თბილისურ „თეთრ სახლში", სადაც ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა რობერტ შავლაყაძეს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით იუბილე გადაუხადა. იქ შეკრებილთა წინაშე გაცხადდა, რობერტ შავლაყაძე ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით ჯილდოვდებაო, იმ საღამოს კი რომის ტრიუმფატორი საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი ოქროს ორდენით დააჯილდოვა და ეს პატივი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს ხვდა. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის სახელით სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა მაია აზარაშვილმა რობერტ შავლაყაძეს ამ ორგანიზაციის ჯილდო გადასცა და მას თავისი პირადიც დაურთო. რობერტ შავლაყაძე იმ საღამოს, ცხადია, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის სახელით მისმა პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემაც დააჯილდოვა. შავლაყაძე ჩვენი ქვეყნის ჭიდაობის ფედერაციამ და სხვა ორგანიზაციებმაც დააფასეს სიგელებით, სხვა ჯილდოებით და საჩუქრებით. საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა კი რობერტ შავლაყაძეს, რომელიც წლების განმავლობაში ამ სასწავლებლის ფიზიკური კულტურის კათედრის გამგე იყო, აკადემიის საპატიო პროფესორის წოდება უბოძა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

*ავტორის ფოტოები*



რომის ტრიუმფატორს ნონა გაფრინდაშვილმა სეოკ-ის ორდენი გადასცა



თამაზ მდინარაძე რობერტ შავლაყაძისთვის გაწყუთვნილი პრიზით



რობერტ შავლაყაძე თავის ქალიშვილებთან, სიძეებთან და შვილიშვილებთან



რობერტ შავლაყაძემ თავის ქალიშვილთან ცეკვითაც გამოიჩინა თავი



„თეთრი სახლის" სტუმრები

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge